

699к



ԱՐԵՎԱՏՅԱՆ

ԱՐԵՎԱՏՅԱՆ
ՀԱՅՈՒԹՅԱՆ



1916



60608060, № IX.

ԱՐԵՎԱՏՅԱՆ



ნაგარი მაცი


საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამეცნიერო და მეცნიერებლის კულტურული ცენტრი

თელი 00-00-XII.

№ 9.

1916 წ.

292



როველი




შინაან სი

I—რთველი,—სურათი.....	1
II—ვხედავ, ვხედავ!—ლექსი დ. ელიოზიშვილის	3
III—მოგონებანი,—სოფლის სკოლაში; მესამე თავის გა- რემონტი, გაბრიელ გოგუაძის	7
IV—გიულის ნაამბობი,—(დასასრული) ჭ. თაშრივების ..	21
V—ძია შიომს,—რაჟ. რომანიშვილის	31
VI—ოქტომბერის შველის ზღაპარი,—(ხალხური) მღ. ა. შავი- რაშვილის	33
VII—მოქიდავენი,—(ივან-არაკი) ა. სიხარულიძის	39
VIII—მხოლოდ ჩემ ცივ უბეში მოისვენებს,—სადაყო ჭა- შაძის	41
IX—ზღვის ტალღები აკვანში,—წ. რომერტისინა, თარგმა- ნი ნ.—ს	44
X—ციფრების გაჩენის ისტორია, გ. ელიტინის თავისუ- ფალი თარგმანი ქ. კარიჭაშვილის	53



კენედავ, კენედავ!



ხედავ, ვხედავ!..
რასა ვხედავ?
ვხედავ ველებსა;
ეით ბასმაზე
მოუქირგავს
ღვთიურ ხელებს!..



აქ ნაცვითი,
ნაზ-ფაყიზი,
იქით იქმა! —
ისე სხედან
ველის შკერდზე,
როგორც მძივები!..

მაშ, სადა ვარ? სამშობლოში...
ვენაცვალები!...
მოდი ერთი დაგიკოცნო
პროლის თვალები!...

=

ვხედავ, ვხედავ!..
რასა ვხედავ?

ვხედავ მწვანე მთას;
ცის გუმბათზე
ნელა აღებს
ქოჩორიან თავს...

თარიღი და
გვიპარების

მასზე წყარო,
სანეტარო
შოთარის, ჩქინალებს;
მზის სხივებზე
ბროლის ცრემლებს
ის აპრიალებს...

მაშ, საღა ვარ? სამშობლოში!
ვენაცვალები!...
მოდი ერთი დაგიკაცნო
ჭურმუხტ-თვალები!...



ვხედავ, ვხედავ!
რასა ვხედავ?
ვხედავ სირებსა...
ცაში ჰერენენ
და იჰერენ
მავნე ჭიებსა.

ეს ბულბული,
საამური—
ბუჩქში მღერის ლექს,
შეჭხარის და
შესტრუიალებს
ვერცხლის ფერა დღეს...

მაშ, საღა ვარ? სამშობლოში!
ვენაცვალები!..



მოდი ერთი დაგიკოცნო
ტურფა თვალები!..

ვხედავ, ვხედავ!..

რასა ვხედავ?.. რასა, რას
ვხედავ მღინარეს... ცაშ
ციურ ზღაპარს
ეუბნება
საყვარელ მხარეს...
=

ხან იცინის,
ხან სტირის,
ხან ბრაზდება;
მოვარდება:
მძლავრ ტალღებით
კიდეს ასკდება!..

გაშ, საღა გარ? სავშობლოში!..
ვენაცვალები!..
მოდი ერთი დაგიკოცნო
შავი თვალები!..

ვხედავ, ვხედავ!..

რასა ვხედავ?..
ვხედავ გლეხებსა;
ოფლიანნი
მუშობენ
სძრავენ ხელებსა...

ყანას მკიან,
იძიხიან
ჰორმუნესა:



ହିଂସରା ପାଲନୀ
ମନୋରାଜନେନ
ଶୁଭମେଦିତ ଏନାମା...

ହାତେ, ଶାଲା ଯାହା?.. ସାମନ୍ଦରଳାଖି!
ଯେବାପ୍ରେଆଲ୍‌ଫିରି!..
ମନଦୀ ଗୁରୁତି ଦାଗିକୁଳପନ୍ଥ
କାନ୍ଦରୀ ତ୍ରୈଅଲ୍‌ଫିରି!..


=

ପ୍ରେଦାଵ, ପ୍ରେଦାଵ!..
ରାମା ପ୍ରେଦାଵ?..
ପ୍ରେଦାଵ ପ୍ରେଲାଙ୍ଗରି...
ରାମ କି ପ୍ରେରଣା
ଶ୍ରେଷ୍ଠିନୀ
ପ୍ରାଣିଲାଦ-ଲାଇର ଲମ୍ବରିତି...

ନୀତି, ଗାନ୍ଧେବାଵ,
ଲମ୍ବରିତିକ ନେବାଵ,
ପିଲାଙ୍ଗନି ଶାଲାମିଶା;
ରାମ ମେତ୍ର କି ପାର...
ପାଞ୍ଚରିବାଲ୍‌ଫି
ନେମିଶା ଏଲାମିଶା.

ଲାକ୍ଷ, କି ପାର, ସାମନ୍ଦରଳାଖି!..
ଯେବାପ୍ରେଆଲ୍‌ଫିରି!..
ମନଦୀ ଗୁରୁତି ଦାଗିକୁଳପନ୍ଥ
ଶରୀରିକ ତ୍ରୈଅଲ୍‌ଫିରି.

ଡ. ପ୍ରଦୀପଚନ୍ଦ୍ରମାର୍କା.





ԹՐՅՈՒԵՑԱՆՈ

3.



Սովորութեանուն

(Շեմանքը)

ոսպառած բարձր գանձադշուլու և առ-
ֆյուրի ալթապետու զեցեցեցնու օմաս,
յանանշու տաճուտ մոմութեցը; Տեզա լուս
մեծարյածնու մամատան նոյնառնա, մաց-
համ, թուժուարդու ու առա նօս-
ճարյաց գանձադշուլու մեջ, մնարաւու

Շյուտամանցեցնա մոწմենու կրօալու սանու և Խոյցարաւու լո-
մունուտ մոռնիու ծանեցնա ծովու սուրութեանուսազըն; Յանին, Տագու-
լու Շեմանքը, Տակլանի հու զեցեցնու — Մյուրե լուլամնու զո-
ւություննու կյուրանու և բալցեսու տաճուտ մոյց-
Շուրյածնու յանուսազըն.

Շեցուարյածնու Խոյցարաւու տալիսին մալլունի-
ւան: Վայեմու ոյու գանձու սույցու գանձու մունամու, Խոյց
միջանու Շեմանքը, և Նել, գանձանչու մինու սենոյցեցնու գան-
ձադշու, տալու մոմբյարդու Յուալյածնու սույցօս; Տոտյու ծո-
նցնեցնու սենու եցեցնու մուսսեմուլ զերպելու մոռցյանցա մոց-
լուցարյ նունու. Տուցուտ գանձադշու սկարա-ցուրինու մոցնու
միջարյածնու Շուրյուտ գանձու պարագանեցնու գանցուածնու ծոնց-

ბას და ნატრობდნენ იმ დღეს, როცა მწვანე ხავერდული შედგა.

სადაც კი თვალი მისწვდებოდა, ყველგან მოსჩანდა მწვანედ შეფერადებული სიფრცე; ნაზად, მორცხვად დუდუნებდა ახლად შემოსილი ტყე და საყველურით წასჩურჩულებდა ცელქ სიოს, რომელიც, თითქო მახარობელიათ ბუნების მკედრეთის ალდგომისო. მოუსვენრად დაპქროდა ნიავი მთა და ბარში. თვით გაზაფხულის ფირუზ-ცასაც მიეღო ნაზი, მხიბლავი ფერი და სიყვარულით ჩაეკრა გულში მოთამაშე და მომცინარე მზე, რომელიც დაპქათქითებდა გამოცოცხლებულ ბუნებას და ისმენდა იმისგან მაღლობის ჰანგებს.

მართლაც და მკედრეთით ამდგარიყო ბუნება... პაწიწკინა ბალისხისაც კი იმაყად ეელო თავი ცისაკენ, მაღლობით და სიყვარულით შესკეროდა მზეს და სავსე იყო სიცოცხლის წყურევილით და იმედით. წერილ ფრინველების მხიარული ერთაშემსრულით გაესილიყო მწვანით შებუმბული ბუჩქნარი.

ხარობდა ბუნება. მხოლოდ ნალვლიანი შაშეი, სულით ობოლი და მწუხარე, ხმელ ხის წვეროზე წიმომჯდარი, გლოვებდა და დასტიროდა ბუნების ქორწილს,—არ იზიარებდა საერთო სიხარულს, თითქო არ სჯეროდა ხანგრძლივი და უტყუარი ბედნიერება და კვლავ მოელოდა სასტიკ ზამთარს და სიკედილს...

გაუგებარ ალტაცებას განვიციდი მე, და თავის თავად შებადებოდა უპნაური რაღაც სურვილები, მისწრაფება და იმედი; ბაეშობაში ხშირად ვნატრობდი ხოლმე ფრთებს და ახლა კი მით უმეტესად, როცა მთელ ბუნებას ეხედავდი გახარებულს და იღფროთვანებულს... ნეტავი შემძლებოდა მსწრაფლ შემენავარდნა ჰაერის ლურჯ ოკეანეში, გამოვთამაშებოდი ოქროს მფრქვეველ მზეს, გადამეელო ზღვა და ხეელეთი და დამეთვალიერებინა ყველაფერი, რასაც კი წირმოიდენდა ფრთებ-შესხმული ჩემი ოცნება; მაგრამ ფრთები არსად იყო; თუმცა იმედს არ ვკარგავდი, რომ ერთ დროს



მაინც მექნებოდა: არა-ერთხელ გამეგონა, რომ, რუსულობისა
კექის დროს ცას გაესტება და გაელება პირი, თუ ადამიან-
მა მოასწრო და სოხოვა რამე, უსათუოდ მიიღებსო. ბების
ნამბობიდან ისიც მახსოვდა, როგორ უნდოდა ერთ ლარიძ
კაცს ეთხოვა ცისათვის ფულით სავსე ტომარა, მაგრამ, გაა-
ლო თუ არა ცაშ პირი, საბრალომ მარტო „ერთი ტომარას“
თქმა მოასწრო... და მართლაც ჩამოვარდა ცარიელი ტომა-
რა! მახსოვდა ეს ყველაფერი და ხშირიდაც ვსოხოვდი ცას
ფრთხებს... ესთხოვდი, მაგრამ არსად იყო. განა ვეღირსები კი?..

მგონი სხვებიც არ ჩებოდნენ გაზაფხულის უცნაურ გაფ-
ლენის გარეშე: შიუხედავად ცხოვრების მძიმე ულლისა, ათა-
ნაირ გაკირვებისა და დარღისა, გაზაფხულის მზესთან ერთად
იმედის ნაპერწყალიც იღვიძებდა და ძლიერდებოდა მუშა
ხალხის გულში; სული განიცდიდა შემსუბუქებას; ამიტომაც
იყო, რომ ყოველ მხრიდან მოისმოდა ყანაში მომუშავეთა
მხიარული ხელ-ხვავი და კრიმანჭული.

ასე წარმოიდგინეთ, მამაც უფრო მხიარულდებოდა გა-
ზაფხულზე: მუდამ შექმუხვნილი წარბები ეშლებოდა, სახე-
ზე იშეიათად აჩნდა დარღის და ფიქრის მძიმე ბეჭედი, —პი-
რიქით, ხშირად მხიარულად იცინოდა ჩემთან ლაპარაკის
დროს, ხალისით სცემდა მიწას ვეებერთელა თოხს და ეალერ-
სებოდა სიშინდის თესლებს:

— კარგათ გამოშუშდით და გაიხარეთ რბილ მიწაში...
აიზარდეთ მაღალი, შავად გადალიშხინდით და გამახარეთ ტა-
როებითო.

თუ კალია, კრიკინა ან კვერცხებით დატვირთული ობო-
ბა მოჰყვებოდა თოხს ქვეშ და გაისრისებოდა, მამა იქნევდა
თავს და მშობდა:

— ყოველი სულღმული ხარობს და სწყურია სიცოცხ-
ლე, და ამ საწყალშა აგერ ტყუილად დაიღუპა თავი... რა

ცოდვამ უწია ნეტავი—აა? ეცოცა ამ ბალახში და ეცხოვდა გადასახლებადი საქმე იყო?

ზოგჯერ სიმღერასაც დაიწყებდა ხოლმე მამა და მეც მიმიხმარიებდა:

— კოჩა-მამულიე, აბა დაიწყე ით „მრავალ ეამიერ“, მე რომ გასწავლე!

სწორედ რომ მეშინოდა ამ წყეული „მრავალ ეამიერის“ და იმის გაგონებაზე გული სასიკეთოდ არ მიცემდა: ისეთი არეული, დაბლართული და „ჩეკირკანტულებული“ იყო იმის კილო, რომ არ იქნა და არა—ვერ დავიმახსოვნე. ასე რომ სიმღერას ჩემთვის, მხიარულების მაგიერ, ცრემლები მოპქონდა: „მრავალ ეამიერი“ უსათუოდ ტირილით უნდა გათავებულიყო, ისე როდი მომეშვებოდა მამა.

ვარდა „მრავალ ეამიერის“, მუშობის დროს ძალიან მეშინოდა მამის ბარათების: მუდამ იტარებდა მამა ჯიბეში ათასნაირ ბარათებს სხვა-და-სხვა გადასახადების შესახებ; ჩა-მოვჯდებოდით თუ არა ხის ჩრდილში დასასვენებლად, მამის უსათუოდ მოაგონდებოდა ბარათები და დაიწყებდა ჯიბეში ძებნას.

— ღმერთო, მიშველე... ადვილი წასაკითხი რამე ამთა-ლებინე,—ელოცულობდი მე.

— აბა ერთი წაიკითხე ით, კოჩა-მამულიე, რა სწერია შეი! — ამ სიტყვებით შაძლევედა მამა ბარათს.

ვატრიალებდი ქალალდს ხელში, ვაცქერდებოდი უველი ასოს, მაგრამ ხშირად ამოკითხეა შეუძლებელი იყო: ძველი ეგვიპტელების იეროგლიფები და ბაბილონელების ლურსმუ-ლი ნაწერი მგონი უფრო ადეილად წაიკითხებოდა, ვიდრე „თაყაია-კუდამელას“ ქართული ბარათები.

— გეტყობა, ტყუილად იარები კლასში... არაფერი შენ არ იცი... ბიჭო, ერთი წელია იგერ, რაც სწავლობ, და კითხვა არ უნდა იცოდე? — ჯავრობდა მამა.

— ამისთანა ნაწერის კითხვა ჩვენ არ გვისწავლია,— კიმართლებდი თავს.

— აბა ნაბეჭდი რომ იყოს, იმას შეც-კი წაეიკითხავ... სირცხვილი არაა, ბიქო?... თავიამ უნდა იცოდეს ისეთი წერი, რომ შენ ვერც კი წაგიკითხავს!

სხვა გზა არ იყო—უნდა დავსთანხმებოდი, რომ არაფერი ვიცი, რადგან კამათის გაგრძელებას კარგი შედეგი არ მოჰყვებოდა.

უფრო აღვილად ვკითხულობდი მე ლექსს, რაშტრიელას ნაწერ ბარათებს (ის მემამულეს „პირადი მდივანი“ იყო); მაგრამ ესენი სხვა მხრივ იყვნენ საშიშარნი: მოხუცი რაშტრიელა ბატონ-უმბის წესწყობილებაში იყო გამოწროვნილი და ისე შეესისხლხორცებინა იმ დროების ქცევა და სიტყვები, რომ „ბატონი“, „უმა“, „მოახლე“, „კარის კაცი“, „ჯალიაბი“ და სხვა სულ პირზე „ეკერა“; მაგალითად, საყანულის მიღების ბარათს ის ყოველთვის ასე იწყებდა: „მე, ქვემორე ამაზე ხელის მომწერი, ვაძლევ ამა ბარათს ყმას“... და სხვა. საქმარისი იყო ამომექითხა სიტყვა „უმა“, რომ მამა გაცეცხლებულიყო:

— ფუ, დასწყევლოს ღმერთმა ჩემი მტერი... რა ყმააო, ბიქო?.. ვინაა იმის ყმა?... ყმა და დალუპული იგია თვითონ!— მიყვიროდა მე, თითქო მე ვიყავი ამის დამწერი:— როგორ წაიხდინა იმ თვალ-დაქლარწულშა სიტყვა—პასუხი, როგორ მიბეჭდავს მაგის წერას!

არა ნაკლებ ეჯავრებოდა მამას სიტყვა „გლეხი“, რომელსაც „გლახილან“ არ არჩევდა; თუ ამოეიკითხავდი ამ სიტყვას რომელსამე ბარათში, მამა ასე ამბობდა:

— დავლიახდა მაგის დამწერი და მთელი მოსულობა... რა ნახა იგან ჩემში გლახა?... გლეხი! ხელი რად არ შეაბმა, სანამ მაგის დასწერდა... ვნახო ერთი იგი უმქადუაი—იმას ვაჩვენებ—ვინაა გლეხი!...

ასეთი სიამაყე და ოფერატორებია ერთი მხრეზე უკავშირდებიან მასიამოვნებლა და უფრო ამაღლებლა მამას ჩემს თვალში; — მე იმით ვამაყობლი ამხანაგებში, მეტადრე პაროსტან: მინდოდა დამერწმუნებინა მარო, რომ ჩემი მამა იმის მამაზე ნაკლები როდია, თუმცა იმის მამა მამასახლისია — სოფლის ბატონი, როგორც აბბობლა დედა. ხშირად შევთხზავდი ხოლმე მთელ ლეგენდებს მამის გმირობის შესახებ და ვაკეირვებდი ამხანაგებს... თეითონ მე კი ნაკლებიდ მჯეროდა ეს ლეგენდები — პირდექით, არა-ერთი შემთხვევა სინამდვილიდან მიკლავდა გულს და იწვევდა ზოგჯერ უსიამოვნო ეჭვს მამის შესახებ:

— თუ მართლა ასე ამაყია და ძლიერი, რად შეეშინა იმ დედაბრის, როცა მეველებმა ხარები წამართვეს? რად იხრის ქედს მოურავის წინაშე და ძლვენსაც კი უზიდის ჩუმ-ჩუმად? (ზურგით მიყვანილი ინდოური არ მავიწყდებოდა) — ასე ვეკითხებოდი თავის თავს; მაგრამ პასუხი არსად იყო.

— ცოდვა ვარ, შეილო, უსწავლელი... ობლად ამოვიზარდე: — სწავლაზე მხრუნველი კი არა, ლუქმა მჰადის მომცემი არავინ მყავდა, — კითხებთან ერთად მაგონდებოდა მამის სიტყვები და ბევრსაც ვუტევებდი შეს.

სწავლის მოვონება მიყენებდა თვალშინ ჩვენ სკოლის, მასწავლებელს, ყოველდღიურ ცემას, და ვეკვობდო, თუ ამისთანა სწავლის შეუძლია გააბედნიეროს ვინმე... საზოგადო სკოლის მოვონება უსიამოვნო გრძნობას იწვევდა ჩემში და ვლონდებოდი.

..... მაგრამ, როცა ჩამავალი მზე წითლად შეაფერადებდა ცა და უკანასკნელ ლიმილს პფენდა მწვანე ტყეებს; როცა შევი ზღვის სივრცე, შეისაგან ინთებული და ოქროდ ქცეული, თვალის მომწერელად ელვარებდა პორიზონტზე და ვნებისაგან ითროლებულ ცასაც ეცილებოდა სიტურდეში; როცა ოქროთივე შეღებილი თოვლიანი მწვერვალები თავ-მომწონედ დასკეროდნენ დაჩრდილულ დაბლოებს და უთვალთვალებდნენ და უცინოდნენ პრიალა ზღვას; როცა ვარ-



დივით შეფერადებული თეთრი ღრუბლის მსუბუქი წიგლეაუზაურა
ბი ობლად დასკურავდნენ ცის სიცრუეზე და, აუცილებელ
სიბნელის მოლოდინში, თითქმ დატებდნენ მომედე ვარს-
კვლავებს; როცა მწვანე ლექაჭით მოკაზმული ახლად დაქორ-
წილებული დედა-მიწა ეძლეოდა ზეციურ განცდას და უღა-
ლადებდა ქების და დიდების ჰანგს დიდებულ სტიქიონს, და
როცა ობოლი შაშვი, სევდიანი მგალობელი, ისევ ნაღვლით
დაჰკვენესოდა არგმარეს,—მაშინ მავიწყდებოდა კველაფერი
უსიამოვნო და მიეყვებოდი ოცნებას მსუბუქ ფრთებზე შორს,
შორს...

საკუთარი ფრთები კი არ მქონდა და არა... არ იქნა
და ვერ ვეღირსე!

სკოლაში შესვლისთანავე შეიცვალა ჩემი განწყობილე-
ბა დედასთან. წინად დედა მფარველი იყო, როცა მიმა მი-
პირებდა წკეპლით გამასპინძლებას; იხლა კი დედისაგან მჟი-
როდა მფარველი, მაგრამ არავინ მყავდა. თითქმის ყოველ
დღე, სკოლიდან დაბრუნებისას, უნდა გაველახე, პატარა დე-
ბის მეტის-მეტ სასიხარულოდ და სასაცილოდ:

— ჰო, ასე გინდა... გიამა ლაფერაის*) კუდი ზურგზე?...
აბა რად არ გვაქამე დილას კვერი,—დამცინოდნენ ისინი,
როცა მე ვტიროდი ეზოში.

უნდა გამოვიტყდეთ, რომ დიდი მოყვარული ვიყავი
ჩეუბის და კიდაობის. წამოეკიდოდით თუ არა გაკვეთილების
შემდეგ სკოლიდან, მთელ გზას კიდაობაში გვივლიდით, ასე
რომ საღამოს დაგლეჯილ-დაფლეთილი მოვდიოდი სახლში:
დილას რომ ახალი ბლუზა ჩამეცა, ისეთს მოვიტანდი, რომ
თაფ-ბოლოს გარჩევაც მნელი იყო; მუდამ ვატარებდი საწიგ-
ნეში მოპარულ ნემსს და ძაფს და, როცა საჭირო იყო, გავე-
პარებოდი ამხანავებს, გავიხდიდი ტყეში ბლუზას, ან შარვალს
და დაღამებამდე ვაკერებდი და ვხლართავდი; მაგრამ ეს სრუ-
ლებით არ მშველიდა: პირველ შეხედვისთანავე აშკარავდე-

*) ლაფერას ქვაბიდან ლომის ამოსაღებს ფარიან გურიაში.

ბოდა ჩემი მკერაობა, და დედა ამზადებდა ლაფერას დაწესებულებას
ლის დასაჯილდოებლად. უსალე უფროსი დების დაქრომვა,
რომ მომხმარებოდნენ კერძაში; მაგრამ ამით დ

აი, სწორედ ამ „გლეჯილბაზ“ გამიმწვავი განწყობილება და დედასთან. მართალი რომ ქსოვია, ჩემი ცელქობის, ჩხუბიბის და ქიდაობის უმთავრესი მიზეზი მართ იყო: აი ვიკოდი, რითი მომეწონებინა თავი და კიდევ უფრო დამემხატურებინა იმის ყურადღება. ზოგჯერ, მოწონების მავიტ, კიდევაც შეკრულებოდი, როცა... ზორეალი ხელით წამოსალები გამიხდებოდა; მაგრამ რაღაც გეგწყობოდა.

ჩემ მოწაფეობას პირველ თვეებიდანვე პრაქტიკული
მხარე გამოისწინდა: მაშამ თავის „მდივნად“ გამხადა, და მო-
ლი უქმებები სხვა-და-სხვა ბარათების კითხვაში და წერაში
მიღიოდა. მეზობლებიც კარგად სარგებლობდნენ ჩემით: თუ
წერილი ჰქონდა ვინშეს დასაწერი, უსათუოდ მე მეძახდნენ,
და დაუზარებლადაც მიეღიოდი; თუ წასაკითხად მეპარიებო-
დნენ, მაშინ კი ვიმალებოდი, რაღაც თავის შერტხვენა არ
მინდოდა.

სულ სხვა რიგად მოიხმარი დედამ ჩემი მწიფნობრიბა, მეტადრე „ციფრების“ ცოდნა: ფულის გამოცნობა და დათვლა არ მეძნელებოდა, — მაშასადამე ვაჭრობაშიც გამოვდგებოდი. მართლაც თითქმის ყოველ კვირას ქაომებით, ყველით ან კვერცხებით დატვირთული მიცვებოდი დედას ოზურგეთში. პირებელად გადაწყვეტილი უარი განვალადე: — არ წამოვალ-მეთქი; მაგრამ არ გამივიდა:

— შენ ქროი ხელი ტანისამოსი კვირაში არ გყოფნის...
ფული თუ არ ვიშოვე, აბა როგორ შეგიყერო: —ჩეენ მაღა-
ნი ხომ არ ამოვედის აქ! —გამიჯაფრდა დედა.

დალიან მომწონდა ქალაქის: შეღებილი კოხტა სახლები,
ლამაზად ჩამურტვებული, — დიდი თეთრი ეკლესია და იმის გარე-
შემთ უზირშახარი თეთრივე ხეები, მრავალი ზერების შეკუ-



15

ბრი წკრიალი და გუგუნი, ხალხით გავსებული ქუჩებია მარტო
ლები, მდიდრად მოწყობილი მაღაზიები, — ყველა ეს და სხვაც
ბევრი იპყრობდა ჩემს ყურადღებას და მიუწლომელ ბეჭნიე-
რებად მიხატავდა ქალაქის ცხოვრებას... ქუჩაში არა — ერთ-
ხელ დაცემულვარ ხოლმე და მომიტავავს კალათში კვერ-
ცხები, — ისე გამიშტერდებოდა თვალები. როგორ შევნატრია-
ლი მდიდრად ჩატარა ვაეცხს და ქალებს, რომელნიც
ჯგუფ-ჯგუად დასეირნობდნენ და თამაშობდნენ ეკლესიის
წინ მინდორზე!

— შეხედე, შეხედე... შენსავით ფეხ-ლაუბანელს სრუ-
ლებით არ ჰგვანან... ნეტავი მაგათ მშობლებს!.. შენ რომ
იყო, ახლა შემოგლეჯილი გექნებოდა ტანზე ცველაფერი, —
შენატრიად დედაც და საკველურით გადმომხედავდა მე. არა-
ფრად მეტვენებოდა ჩემი თავი ამ ბაეშვებთან შედარებით: ჩა-
კონკილი, პუპულანი, დაგლეჯილ ქალამნებით, მხარზე კალა-
თი, — არ გიახელით დიდი რამ სახარბიელო! სოფელში თავი
მომწონდა და მაროსაც ვაწონებდი, აქ კი ჩემზე უარესს არა-
ვის ვხედავდი. რაღაც მწარე გრძნობა იღვიძებდა და მძიმე
ლოდივით მაწვებოდა გულზე. სამუდამოდ დაჩაგრულად ვსთვ-
ლიდი თავს, და ჩემს დაჩაგრუაში, რა თქმა უნდა, დამნაშავე
მშობლები იყვნენ, რომ არ მშრდიდნენ უუფუნებაში, რო-
გორც ქალაქის ბაეშვებს!

მაგრამ საკმარისი იყო დამტნახა დუქნების წინ გამოვე-
ნილი შეწითლებული ბლითები, რომ ზავი ფიქრების კვალიც
გამქრალიყო; — ახლა მარტო ერთი ფიქრი-ლა მიტრიალებდა
თავში, — მიყიდის თუ არა დედა ბლითებს და თეთრ პურს.
როცა გავყიდდით ცველაფერს, და სახლში წასვლის დროც
მოხლოედებოდა, დედას ოდარ ვაძლევდი მოსვენებას...

მეორე დღეს, სკოლიდან მომავალი, ვუამბობდი მაროს
ქალაქზე, — უამბობდი გადამეტებულად, ზღაპრულად... მაგრამ
ყველა ნაამბობში უმთავრესი ალაგი ჩემ მშვენიერ „მე“-ს
ექირა!..



სარიცხვები

რომა შევეჩერი ქალაქს და ცნობაშიც კარგა ჭარბორიტოა
ჯიშდი, დედა მარტოც მიგზავნილა საფაქტოდ შეზობელ ქა-
ლებთან; მარტიალი უნდა ვსთქვა, რომ მე ეს უფრო მომწონდა:
თოთრ პურს და ბლითებს ბლომად მიყირთმევდი, და ქალა-
ქის დათვალიერებასც არავინ მიშლილა: სშირად მთელი საა-
თობით ვიდეტი ქუჩაში და ვუკერდი ამა თუ იმ საინტერე-
სო სურათს ქალაქის ცხოვრებიდან. პირველად ძალიან ვა-
მაკვირვა ველოსიპედმა და იმაზე მჯდომიც არაჩეცულებრივი
აღამიანი შევონა. დავინახ თუ არა, რომ მიჰქროდა ქუჩაში
და დაიმალა შესახვევში, მივატოვე ყველით სავსე კალათი და
სხვა ბავშვებთან ერთად გამოვეიდე მეც, რომ კიდევ მომექ-
რა თვალი ამ საუცხოო „ურემაისათვის“...

მაგრამ დახეთ უბედურებას: უპატრონოდ მიტოვებულ
კალათს დახვეოდნენ ძალლები და ოთხი ყველი ამოექამათ!
ვე წყეულები ამ შემთხვევამდი საქებრად მყავლნენ, რომ სო-
ფლის ძალლს არ ჰვანან, ქუჩაში დინჯად იქცევიან და გამვ-
ლელებს არ უყეფენ; ახლა კი ასე უსინიდისოდ მოიქცნენ
და მწარედ ამატირეს!

შემომეხვივნენ მტირალს „დიდი კაცის“ ბავშვები და
ამიგდეს სასაცილოდ. ასე შევრცხე კაცი და დედისთვისაც
უნდა ანგარიში მიმეცა.

ერთმა შემთხვევამ, სრულებით თუ არა, ხანგრძლივად
მაინც შესწყვიტა ჩემი ვაჭრობა; დედა მარტო აღარ მგზავ-
ნიდა ქალაქში. აი, როგორ მოხდა ეს.

ზაფხული იყო; სკოლიდან თავისუფალი ვიყავი და კვლავ
მწყემსობას შევუდექი; ერთი წლის შემდეგ დიდი სიხარულით
დაუბრუნდი საყვარელ სუფსის და მინდვრებს და განვაახლე
შეწყვეტილი მეგობრობა ოქროპირთან და ფარნაოზთან; დი-
ლით ვერავინ მომასწრობდა მინდოორში ჩასვლის: ნისლი ჯერ
კიდევ უძრავად ედო სუფსის პირებს, რომ მე შევიმალოდი
შიგ, როგორც ღრუბლებში, და მხიარული კრიმანჭულით
ვალვიძებდი მძინარე ჭალებს.

ერთ კვირა დღეს დედამ იღარ გამიშვა მინდობრში, კაცი კაცი...
ტარა ვარიკებით გამიგსო კალათი და გამისტუმრა ქალაქზ.

— ახლა წიეთდა ბიცოლა შენი: — გაიქცეცი და მიეწევი...
სულ ირბინე, რომ დარეკამდი ჩიხვიდე და კარგ ფასში გაყი-
ცო... ჰკულით იყავი — არაფერი დაგეკარგოს... პური არ იყო:
დო: — მოდი შინ და მჴაღი ჭამე, რამდენიც გინდა, — ასე მომა-
ძია დედამ, როცა ეწოდან გადმოვიდრე.

— კი, აბა... ზურგი მოვიტეხო და პურიც არ ვიყიდო?
ისე გავსკდები, რომ ერთ თვეს არაფერი მომინდეს, — უკმა-
ყოფილოდ ვუპასუხე მე და გავიქცეცი.

სუფასზე ჩიხელამდი ძალიან ვირბინე, — იქნება ბიცოლას
დაცეწიო-მეთქი, — მაგრამ რაკი გავიგე იქროპირისავან, რომ ეს
შეუძლებელი იყო, აღარ შევიწუხე თავი: გავყევი ნელ-ნელა.
ორ-ხამ ალაგას დავისვენე სუფსის პირზე. იხლად ამოსული
შე საუცხოოდ აბცყარიალებდა სილაზე რაღაც ნიმუეცებს,
და ჯერ იმით დაცუწყე ძებნა: — გავონილი მქონდა, რომ ეს
ნიმუეცები ოქროოთ; მერე თევზები ვათვალიერე: დაცუწყე
ალერსი პატარეებს და ვპირდებოდი — როცა გამოვირ, პურს
გაქმეთ-მეთქი. ცოტა რომ კიდევ გაიირე, მწყემს ბავშვებს
წივაწყდი და იმათთან კენჭობია ვითამაშე; და სულ ასე, სანამ
ქალაქში ჩიხიდოდი, — ყველაფერზე თვალი მიშტერდებოდა
და წამის-წამ ვისვენებდი, მით უმეტეს, რომ, უშატა თუ არა
სიცხემ, ქალამნები საშინლად შემომახმა და მიკირდა ფეხის
განძრევა...

ცალკე კიდევ წიწილებმა ძალიან შემაშინეს და გამი-
კირეს საქმე; მოგხდიდი თუ არა კალათს გაღატერულ
ჩივარს, ვხედავდი, რომ ყველას დაულიათ ნისკარტი და ძლიეს
სუნთქვავენ; თვალებსაც ძლიეს იხელენ და საყვედურით მი-
უურებენ. მეტი გზა არ იყო, — უნდა მეძებნა წყალი და მება-
ნავებინა წიწილები, რომ გაგრილებულიყვნენ და სიცოცხ-
ლის პარაქათი მომატებოდათ; და მართლაც მეტი თუ არა,

ათჯერ მაინც ვაბანავე ისინი ცივ წყალში, ასე რომ გამოიყენებოდა საწყლებს ერთი ბუმბულიც არ დარჩენიათ მშრალი.

შეკადლე გადასული იქნებოდა, რომ მივაწიდ ქალაქს; „საპარასკეო“ *) სულ გაცლილი იყო—ვერც ბიცოლა ვნახე და არც სხვა ეინშე გამყიდველი სჩინდა.

— ოჟო, ღიღი გაიზარდე, ბიძია... ძალიან კარგ დროზე არ ჩამოსულხა! — აქვე დამტინა ერთმა მედუქნემ.

— ქუუიანი მაგი ყოფილა... იმისთანა დროზე ჩამოსულა, რომ მეტოქე ვაჭრობაში აღარავინ ჰყავს... მაგისია ახლა ბურთი და მოედანი,—დაუმატა მეორემ.

ვითომ მე არც კი მესმის დაცინვა და ვემზადები დავიწყო ვაჭრობა; მოვხადე ქალაოს და რას ვხედავ: სამი წიწილა გამოსალმებია წუთი სოფელს და დანარჩენ სამსაც არ ეტყობათ ხეირი: — ისე დასუსტებულიან, რომ ცალი თვალის გახელაც კი უკირთ! სიცხემ აწყინათ თუ ბანაობამ—ვინ იცის! ვცდილობდი გულ-შაგრად შეეხვედროდი ასეთ უბედურებას, მაგრამ ვეღარ შევიყავე თავი და მოვრთე ლრიალი: „საპარასკეო“-ს უსაქმო ხალხი მაშინვე შეიკრიბა გარშემო; ამიგდეს სასაცილოდ: ვინ რას მეკითხება და ვინ რას. აბა ყიდვას ერთიც არ ფიქრობს.

— რო მოუყიდათ, ბიძია, ამ წიწილებს? — მონაწილეობით მყითხა ერთმა „დიღ-კაცმა“.

— არ ვიცი... გული შეუწუხდათ მვონია... ე-ე-ე-ე! — განვაგრძე ტირილი.

— გული თუ შეუწუხდათ,— აფთიაქი იგერ არაა; ვერ იყიდე „კამპლები“ და ვერ დაალევიდე? — სიცილით მიპასუხა ვიღაცა.

ახლა უფრო ის მისივებდა გულს, თუ რად გავხდი ვიღაცაების სამსახუროდ; ზიზლით მიყურებდნენ გამვლელი პატარა ვაჟები და ქალები; არ ეიცოდი, როგორ დამემალა

*) ბაზარი ქ. ოზურგეთში.



მკვდარი წიწილები, გამხმარი ქალამნები, ჭუჭყიანგა და სტანდარტული ცრემლებით მოღვარული სახე. სიკედილი სჯობდა ასეთ სირ-ცხეილს.

— ღმერჩოთმა ნუ ქნას, რომ ყველა ეს მაროს გაეგოს,— ეს აზრი მაინც მიტრიალებდა თავში.

ორი წიწილი, რომელიც უფრო ყოჩალად გამოიყურებდნენ, სამადლოდ იყიდა იმ „დიდ-კაცმა“; ერთიც, იმის განირებით, მე თვითონ დავკალი, რაკი შევატყვე უხეირობა (დანა აქვე მითხვეს), და ადრე გვიყიდუ ხელი.

— მაი დაკლული წიწილია არ იზარალო, პიძია, — წაი-დე შინ და კარგად შეაწიწყინებინე კეცზე დედაშენს, — გამო-მშვიდობებისას მითხრა „დიდ-კაცმა“.

მაგრამ „შეწიწყინებაზე“ ვინ იფიქრებდა, როცა სახლში მისვლაც შაშინებდა.

სხვა აბა რაღა უნდა მექნა, — ჩავიწყვე მკვდარი და დაკლული წიწილები კალათში, პურიც ალარ დავიკელი და გაფუ-ყვევი შინისაკენ. რადგან ვიკოდი, რომ დედა კარგს არ და-მაყრიდა, მშვენიერ ხერხს მიემართე: მივედი თუ არა სუფა-ზე, წამოვწერე ბალახში წყლის პირის და პატარა თევზებსაც დანაპირი იერუსარულე... ტკბილად ჩამემინა ამდენ მღლვარე-ბის და ვარ-ვაგლაბის შემდეგ. ან კარა სუფას ჩუმად ებუტბუ-ტებოდა წვრილ ქვებს და ნიზად შეუოდა, თითქო „ნანინას“ მეუბნებოდა მის მოსიყვარულეს.

როცა გამომელვიძა, უკვე შელამებული იყო; მაშესადა-მე — სახლში ჩემი დაგვიანებით კარგად შეშინებული იქნებო-დნენ, და მეც ხომ ეს მინდოდა!

გამიყვანა ოქროპირმა ნაერთ, და ნელ-ნელა შევყვევი სო-ფლისაკენ; მოვიგონე ყველაფერი, რაც დღეს გადამხდა, და თავის-თავად ამიტყდა ტირილი.

შემინებული დედა გზაში შემხედა: — მორბოლა
რად... ჩემი უკნებლად დაბრუნებით გახარებულმა შევიდად
მიიღო მოთხრობა ვარიკების მწარე ბედზე.

— ყოჩილ, ბიჭო, — ასე არ უნდა ვიქრობა?.. ვარიები
დახხრი; რაც ფული აიღო, იმის პური დაბურხლა, და თვი-
თონაც კინალამ დაიკარგა, — ასე მაჯავრებლნენ ხოლმე პატა-
რა დები.

ამის შემდეგ მარტო ალარ წავსულვარ ქალაქში.

გაბრიელ გოგუძე.

(დაბასრული იქნება)





გიულის ნააშბობი

(დასასრული*)

 მ ღამეს გამრო და მე იქ ვიყავით, აღარ გავვიშვეს.
დილა-დურიან გაბრომ შემდეგი გამიმელიენა:

— შენა, შეილო გიული, პატარა აღარა ხარ, რა წლი-
სა სრული იქნები, ამიტომ, თუმცა შენი საქმე სულითო და
ხორცით მე მაქვს ჩაბარებული, მაინც შენი დაკითხვაც საჭი-
როა. ეს ჩემი ნათლით შენ თავსა მოზოვს: ჩემთან იყვეს,
კოტაოდენ სახლში ან მაღაზიაში: (იმით წიგნებით ვაკრობა
ძევთ ამ ქალაქში) ხელში შეგვეშველებათ; ჩავაცმევთ, დავ-
ხურავთ, ვასმევ-ვაჭმევთ და წიგნის „კითხულს“ ხომ ისეთს
ვასწავლით, რომ „ჩინონიკიც“ ვერა სჯობდესო. მართოლია
არ შემეტები, მაგრამ ჩემი ნათლით სვიმონის ხათრს ვერსად
წაუვალ: ყველაფრით გამოსადეგი და საჭირო კაცია. თან
ისიც ვიცი, რომ შეილივით შეგინახებს და უკეთეს ყოფაში
იქნები, ვინემ სოფელში. თუ იქ მამულ-დედული რამე გაქვს,
იმის კიდევ თვალის ჩინიეით გაუფრთხილდები და შენ დავაუ-
კიცებამდის ბარტყივით შენახულს დაგიხვედრობ. ეს კაი აღგი-
ლია: წიგნს ისწავლი, და ეგებ ჩენ სოფელსაც რამე წამალი
დასდო.

*) იხილე „ნავარული“-ს № მე-8.



მართალია ცოტა გული დამიღონდა, მაგრამ მარტინ-ჯავახია რედ ბალლასა რა უნდა მექნა. ან უარი რო მეთქვა, რა გა-მიეიღოდა? დაეთანხმდი.

გაბრი იშვი დღით წევიდა სოფელში და მე დაერჩი მარტო უცხო ადგილს, თბილ სიტყვას მოკლებული, უფესისტო-მო და სხვის ხელ-შემზედვარე.

„ბატონი“ სეიმონი მეტად ტკბილად მექულეოდა პირველ ორ დღეს.

მერე ნელ-ნელა ცხოვრება მეცვლებოდა. მესამე დღეს დილით ცოტა დილის ძილი გამიგრძელდა. ბატონშა საყვე-დური მითხრა: — აქ მოსამსახურედა ხარ და არა ბატონიშვი-ლადო. დროზე უნდა ადგე, „სამოვარი“ დადგა და იმუშა-ვოთ.

მე, როგორც სოფლელს, „სამოვარებისა“ არა გამეგე-ბოდა-რა: ავიდე და, მანამ წყალს ჩავისხამდი, ცეცხლი ჩავყა-რე. „სამოვარი“ ძირი გავარდა და ხიფათშიაც გავები. პირ-ველად რომ იქ მივედი, კედელზე ერთი ჭრელ-ტარა მათრა-ხი ეყიდა, ლამაზი, კოხტა; სულ იმას უყურებდი. რა ვიცოდი— მათრახი თვალის დახანიად შემჯავრდებოდა.

იმ დილითვე ბატონშა იმ ჩემ მოწონებულ მათრახით ლა-ზათიანად გამტყიპა. ბევრი ვიტირე. მშველელი ვინ იქნე-ბოდა. გაჭუვაც დავაპირე, მაგრამ საით წავიდოდი: გზა მე არ ვიცოდი და კვალი.

დიდი ქალბატონი, ბატონის სიღედრი, ხანდისხან ტკბილ სიტყვას შეტყოდა, მაგრამ ისიც დაშინებული იყო და მეტად დაბრიცვებული; ამიტომ დიდ ალერს ვერ მიბედავდა.

დილით აღრე ავდგებოდი, „სამოვარის“ დაგედგამდი (მა-თრახმა „სამოვარის“ მოხმარება ძალაუნებურად მისწავლა). მერე წავიდოდი მაღაზიაში. უფროს ნოქართან ერთად გა-ვალებდით, დავგვეიდი, და ვიყავი მთელი დღე, საღამომდის, იქ. ხან ფოსტაში მგზავრიდნენ, ხან სად. თვითონ მაღაზიაში მოე-

ლი დღე ფეხზე უნდა მდგარვიყავი. დაჯდომისთვის კრისტეფი კარგები მომზედა. საღილად შეძლეოდა შეიდი კაპერი. ვი- ყიდდი სამი კაპერის პურს და ოთხი კაპერისას ყველს, ან სხვა რამეს, და ვიყავი ესე მუდამ ნახევრად მშიერი. ნატვრად გამიხდა კუჭის გაძლობა. კვირაობით სახლში ვიყავი და მა- ჟინ არა უშავდა-რა საღილს. ხშირად, როცა ბაზარში გამ- გზავნიდნენ, ვიგვიანებდი. დავდგებოდი სისაღილოების წინ და ცარიელი ყნოსეაც კი საღილისა სიამოვნებას მგერიდა. და- გვიანებისთვის ძალიანა მტუქსავლნენ, ყურებს ამიწევლნენ, და, თუ მუშტარი არ იყო, მეტსაც. მაგრამ რა ჩემი ბრალი იყო, რომ ძალიან მომწონდა საღილის ყნოსეა?!

საღამოთი ბარძიმთან უნდა შეთამაშა. ეს თამაშობა ძა- ლიან მემძიმებოდა: ახირებული, იეზინიანი ბაეშვი იყო; გა- ჯავრდებოდა, მცემდა და დამშლელი არაერთი ჰყავდა. პირ- იქით—უფრო აქეზებდნენ.

ბატონს უყვარდა საღამოობით ჩემი და ბარძიმის კიდაობა. ბარძიმი ბალი იყო: ცალი ხელით მოვერეოდი, მაგრამ ბა- ტონის ბრძანებისამებრ უნდა წავქცეოდი. მეც ვილახებოდი, ვიქცეოდი ჩემ ტოლებში გაულიავი გიული და სიბრაზისგან სამზარეულოში ტანისამოსს ვიხევდი.

კვირაობით სტუმრები მოვიღოდნენ. ბარძიმს ლექსებს ათქმევინებდნენ. იცოდა თრიოდე. მეც მათქმევინებდნენ. მაგრამ დახეთ ჩემ დაბრიყვებას: წინათვე მეტყოდნენ: შეაზე შედექი, ეითომ დაგავიწყდაო. და გამოილიდა, ვითომ ბარძიმი ჩემზე უკეთესად კითხულობდა ლექსებს. მერე გვაჭიდავებ- დნენ. იმ ჭიდილშიაც მე ვიქცეოდი და ლონდებოდა გული. სიბრაზისგან დაიკიმებოდა სახის ძარღვები და დავწევლილი გაჩენის საათს და ჩემ ბედის წერას!

ზამთარში სიცივე მაწუხებდა: ტანზე მეცვა ჩითის ხალ- თი, ფეხზე—ძველი ფეხსაცმელი, არ ვიცი ვისი ნაცვამი; ის კი



ვიცი — ფეხზე ძალიან დიდი მქონდა: თავისთავიად მცხველებოდა და წევიძა-თოვლში წყალი თავისუფლად უებრძანდებოდა.

ჩემი წიგნის სწავლისთვის არავის სტელოდა. ბარძიმის მასწავლებელი შექრი, მეტად ლვითისნიერი ადამიანი, მასწავლიდა შეგა-და-შეგა, თორებ მუდამ ისიც ვერა, რადგან ერთხელ ბატონთან ლაპარაკი მოუვიდა, თუ მე რად მასწავლიდა.

— თქვენ ბარძიმის მასწავლებელი ხართ და არა სხვისაო! — უთხრა ბატონმა.

ხან მაღაზიაში უფროსი ნოქარი მასწავლიდა, მაგრამ ააწაშეს ბატონს დაინახავდა, ისიც თავს მანებებდა.

— ყველამ თავ-თავის საქმე უნდა იცოდეს! — მკაცრად იტყოდა ბატონი.

ესე გადიოდა ზამთარიც. მაგონდებოდა სოფელი, იქაური სიამე და ლხენა, და მომწყურდებოდა სოფლის ნახევა, ვაყინულ ხევისა, დაბარდნულ ხევბისა, საბეჭელში მოწხუბირ ჩიტებისა...

ვაზაფხულის პირს ერთი ახალი ადამიანი მოგვემატა.

ბატონს ერთი ციმბირში გადასახლებული და იქ გამდიდრებული ნაცნობი ჰყოლია. ღატაკი წასულია, იქ ცოლშეიღლს მოსკიდებია და გამდიდრებულია. მანც თავის მიწა-წყლის დიდი სიყვარული ჰქონია და თავის 11—12 წლის წვილი ზურაბი თბილისს ქალაქს გამოგზავნა სასწავლებლიდ. „იი, მშაო სვიმონ, გიგზავნი ამ ჩემს ზურაბს და შენი იმედი მაქვს, — კარგ ქართველს გამოიყვანო.“

თან ბლობა ფულიც გამოევზავნა. ზურაბს ჯერ-ხნობით კარგად ექცეოდნენ, მაგრამ მალე დღეები გაუმწიარეს.

ზურაბმა რუსული უფრო კარგად იცოდა, ეინჯ ქართული, მაგრამ ცდას არ აკლებდა და ქართულს ბეჯითად სწავლობდა. ამაზე მოუდებლნენ შარს და ბატონი უჯავრდებოდა ხოლმე.

მე და ზურაბი მოლე დავშეგობრდით. როცა გაძლიერდებოდა
ლნენ, თავს გაეკითხეს ლეიტით და ერთმანეთს იმპავს უზია-
რებდით. თუმცა ბატუნი ზურაბს არა სცემდა, მაგრამ თავ-
მოყვარე იყო ძალიან და ეს ჩეუბიც ვერ ეტანა.

ერთხელ მითხრა: „თუ ჩემთვის ცემა გაუტელნია, არ ვი-
ცი რას ვიზუამო. მე დავაძუღიდე. მაგრამ ჩემი დარიგება დიდ-
ხანს არ ეყო.

ერთ კვირა დღეს, როცა სტუმრები ბლოომიდ შეკრები-
ლიყვნენ და მხიარულობა დიდი იყო,— ბარძიმი სკამზე და-
კრენს და ლექსი ათვევინეს: „პატარა ქართველი“. მერე მე
მათვევინეს. არსად შემშლია. როცა გავათავე, ზურაბში და-
ძიხა: ყოჩალ, ბარძიმზე კარგადა სთქიო. პატონს ეს ეწყინა
და გამოელაპარაკა: ბარძიმში უკეთა სთქვაო. ზურაბში უფრო
ხმა-მაღლა სთქვა: არა, გიული უკეთა კითხულობსო. სტუ-
მრებმა შეწყვიტეს ეს ლაპარაკი. ვახშის დროს მე და ზუ-
რაბი სამზარეულოში ვიყვით; ხან ოთახის კართან მოვდგე-
ბოდით და იქიდან ვიკვრიტებოდით. ვახში ერთხმა სტუ-
მარმა ზურაბის შამის საღლეგრძელო დალია.

— სად არის მისი ზურგაბი; წევთან იქ დავინახე!

— სძინავს, ბატონი, — უპისუხა ბატონშა; — მოვებსენ-ე-ბათ — მოწაფეა და ძილი იღრე ეჭირვება. ცუდილობ კარგად აღწიარდო და კარგი ქართველი გამოვიყვან.

მანამ ბატონი ამ სიტუაციას ამბობდა, მე მეორე თოაში
ზურაბს ვიტერდი, რომელიც გასკლას აპირებდა. მაინც თა-
ვისი გაიტანა და გავიდა. მე შიშის კანკალმა ამიტანა. ცუდი
ამბავი უნდა დატრიალებულიყო.

— სტუდის, მე არა მძინავს. სამზარელოში ვდღივარ
და თქვენი ნასუფრალის მოლოდინში ვარ. მამამ სასწავლებ-
ლად ვამომგზავნა, ჩემი წონა ფული ვამომატანა, და იქ მი-
ნახევენ, როგორც პირუტყვს. მე ჩემს თავს მოუკლი, მაგრამ
მეცოდება ერთი საწყალი ბიჭი გიული, რომელიც თავის ქო-

ნებით ყმად დაუსახლებია იმ ამასო! — სიმონზე ჩელი შიგ-
შვირა; თან ლელავდა. უცებ ქვითინი ამოუშვა ზურაბმა და
იძევ წიიქეა.

სტუმრები აიშალნენ. მერე აღარ ვიცი, რა მოხდა, რა-
დგან მე საკუპნომში მწნილის ქილების იქით დავიმალე. ზი-
შისაგან, თუ რისაგან, — იძვე მალე ჩამეტინა და უკვე თენდე-
ბოდა, როცა დიდმა ჟვრიტილმა გამომდევიდა:

— გიულ, შე სასიკვდილე, სადა ხარ, ბიჭო? — ჩემ თავ-
თან იდგა ქალბატონი და ვერ მხედავდა. მე შევიშმურნე. უცებ
თვალ წინ გამირბინა წუხანდელმა ამბავმა; ზიშმა ამიტანა და
იმ ქილებში უფრო მივიპუპე; მაგრამ უმნიშნა.

— ერთი სად მიგდებულა, ეს სისიკედილე! იეთრით ემ
წუთში! — და ერთი წიხლი წამკრა გვერდში. ვიკალა იღ-
ვომა.

— ამა, ეს ქალალდი და ფული წაიღე აფთიაქში! ჩვენ
ქუჩაზე პირდაპირ წახვალ და კუთხეში რომ არის, იქ დაუცდი
და წამალს მოიტან. აბი, ჩქარა!

წივედი. თანა ვფიქრობდი გზაში: ნეტა რა უნდა მომხდარიყო, ან ეს წამლები ვისთვის უნდობათ?

მეორე დღეს ყველაფერი გაეიგე: სტუმრები მაღა აშლი-
ლიყვნენ. მათი წასვლის შემდეგ ზურაბის განკითხვის დღე
დამდგარიყო. ბატონს გაეგდო წიხლ ქცეშ და ისე ეცემა ზუ-
რაბისთვის, ნახევრად ცოცხალ-მკედარი ხელიდან ძლიერ გაეგ-
დებინებინათ. პირიდან სისხლი ამოსელოდა და მკონი ნეკნე-
ბიც ჩამოვარეული ჰქონდა.

შეორე დაქს კნიგე, სხვ სულ მოლად შეხვეული, თვალი დალურჯებული და სხვ მკრთალი, მკრთალი...

გამოველიპარიკე და გუშინ სიცოცხლით სავსე ზურაბი
დღეს ძლივსლი ლაპარაკობდა. ექიმი მოუკავნეს, მაგრამ რას
უშეველიდა: როგორც სანთელი ილეოდა და ლამბარივით
სიცოცხლე მაღ-მაღ უკრთოდა. ვირიდან სისხლი ამოსიონ-



და და სუნთქვა არ ჰქონდა თავისუფალი. მთელი საბოლოო შემთხვევაში გა-
ვასტანა ზურაბის ტანჯვაშ და ერთხელ ღამე ხმაურობაშ გა-
მომალება.

ზურაბი ცუდად გამხდარიყო.

ლოგინთან ექიმი იდგა და ქალბატონი. ზურაბს თვა-
ლები მიჰლულოდა, სუნთქვა შეჰქვეროდა. უცებ წიმოიხედა,
თითქოს კარგად ვახდაო, თეალი მოავლო გარს და ჩალაცას
თქმა უნდოდა; მაგრამ საბრალოს ენა წართმეოდა: ლუდლუ-
ლი ისმოდა. თეალი მომკრა და თვალებით რალაცას მთხოვ-
და, მეზვეწებოდა, და მე, უბედურს, ვერ გამეგო, ვერ მიმ-
ხვდარიყაც.

გაიზმორა, ლოგინზე დაეცა და საუკუნო ძილით დაი-
ძინა,— მოუსავლეთში წაეიდა.

გარედ გამოვვარდი და დავიწყე ტირილი. ვტიროდი შეა-
ნუიცს, ვკენესოდი, ვჩიოდი.

დაემარხეთ ზურაბი იმ სიყდრის ეზოში, სადაც მე და ის
ხშირად დაედიოდით და ვთამაშობდით.

სულ არ გასულა სამი დღე, რომ სულ შემთხვევით ყუ-
რი მოვეირი ბატონის ლაპარაქს ექიმთან:

— თქვენ ისეთ წამლებს გამოსწერთ. ვითომე ბავშვი
ქლექით გარდაცვლილიყოს, და ჩემზე იყვეს თქვენი გასამრ-
ჩელო.

მართლაც მთელი ორი კეირა აფთიაქიდან ყოველ-დღე
წამლები მოგვქონდა. მერე წამლის ქალალდები მოავროვა
ბატონში და ზურაბის მამას გაუგზავნა. როგორც სადილზე
ლაპარაქიდან გაეიგე, თან მიუწერია: ზურაბს ციმბირის
ქლექი გამოაჩნდა, ორი თვე ავად იყო, მთელი ექიმები
თავზე დავიხვიე, მაგრამ უბედურება გვეწვია და გარდაი-
ცვალოა.

უჱ, ღმერთო! რამდენი საზიულებება იყო ამ პირებულებისა
რამდენი ტყუილი.

საწყალი, საცოდავი მამა!..

* *

გაზაფხულზე ზურაბის მამა ჩამოვიდა. შეშლილივით მიიკ-
რა სასაფლაოზე და ლილანის ტიროდა დალუპულ შვილსა.

მთელი თვის განმავლობაში ლადიოდა შვილთან, ჰქონდ-
და ყვავილებს და იქ ურგავდა

და როცა ჩამოცხებოდა მასში, სასაფლაოზე სიჩუმე იყო,
საცოდავი მამა სიცხ-პაპანაქებას არ ეპუებოდა: იჯდა საფლავ-
ზე და იცრემლებოდა.

როცა კი დროს ვიხელთებდი, სასაფლაოსკენ გაერმო-
დი, მივიდოდი იქ, ჩამოვჯდებოდი ლოდზე და ვფიქრობდი,
ვლოცულობდი: ნეტავ უა გიოსნას, რომ ვინატრო: ზურაბი
გაცოცხლებულიყოს, ერთად გვეთამაშოს, მომელხინოს ჩემ
ძმალ-ნაფიტან.

ერთხელ ძალიან დამტუქსა ბატონშა: სად დაიკარვეო.
როგორ მიაშა ეს დატუქსვა. ზურაბის გულისთვის ყველაფერს
აფიტან.

საწყალი მამა ავროვებდა ყველა ნიგოს, ზურაბის ნაქონს.

ერთხელ მამა ჩამევითხო ზურაბის ამბავს: შენზე მწერდა,
შვილო, ჩემი კარგი ზურაბი, ამხანაგი ვიშოვეო. მიამბე, შვი-
ლო, როგორ გმომეცალა ხელიდან ის ჩემი იმედი.

სიბრაზე მომაწვა. მომაგონდა მთელი ის ჯოჯოხეთი,
სადაც ზურაბმა დღენი დალია, და მამას ყველაფერი უამბე.

ისიც უთხარ, თუ ექიმს რა ელაპარაკა, ან უკანასკნელ
ეამს ზურაბი როგორ დაილია და კოშტი სანთელივით ჩა-
ყვითლდა.

ამის შემდეგ ჩემი იქ დარჩენა შეუძლებელი იყო.

ერთ თიბათვის დილის, როცა ის იყო ინათა და ქალა-
ქელები ტკბილ ძილს მისცემოდნენ, შევკარ ჩემი ბარგი-



ბარხანა და გამოვედი სახლიდან. მეტოვები ქუჩებსა და მაჭუტაში მოვარდები ნენ და თოთო-ორიოლა კაცი მიღი-მოდიოდა. მზე ამოვიდა თუ არა, ავლაბარში ვიყავი და იქიდან გამოვწიო ჩემი სოფ-ლისკენ. გზაში ურმები შემხედნენ. დაუჯექ ზედ და... ძლიერ გულმა თავისუფლად იმოისუნთქა!..

*
**

გვიდა დრო. ახლა უკვე თოთხმეტი წლისა ვარ. მას აქეთ რა არ გადამხდა თავს. ორი წელიწადი ერთ საფოსტო სადგურზე უბრალო მსახურად ვიყავი.

აუწერელი ტანჯვა გამოვიარე. ოთხი თვე ავად ვიყავი და ლოგინი ვლესე. პატრონი არა მყავდა. მარტო ვებრძოდი სიკედილს. ბოლოს მოვრჩი და ახლა ციებ-ცხელებამ დამრია ხელი.

ველარ გავძელ იქ და ჩემი სოფლისკენ გავწიო შარშან გაზაფხულს.

ჩვენი სოფელი ველარ ვიცანი: გამოცვლილიყო.

ჩემი ნათლია გაბრი აღარ იყო. ჩვენი სახლი ვიღაცა და ენგრია და იმ იდეილს ბოსტინი იყო.

წიველ წისქვილზე. წყალი და ცატავებულიყო და იმ პატარა წისქვილს ძლიერს აბრუნებდა. წისქვილი მოძველებულიყო. ენახე გარსევანი და დედობილი კეკე. საწყლებს ცრემ-ლები მოადგათ თვალებში სიხარულისა. შემომჩიდვეს: თავს ძლიერს ვირჩევთო. ერთ რაუს იქ ახლო წისქვილი ვაუმართავს, დიდი წისქვილი, რაუსული. და აბა გარსევანის ძველ ქრთულ წისქვილზე ვიღა დაუქვევდა?!

წამოველ წისქვილიდან.

იმ ღმერს ვითიქრე და ასე გადავწუვიტე: კახეთში რომ რეინის გზა გამოვიდა, იქ ბევრი მუშა ხელი სკირდებოდათ.

სულ ერთ კვირაში იმ გზის სადგურზე მსახურის აღგილი ვიშოვე, თვეში 15 მან. მაძლევენ. თან ცალკე თთახი მიქვს. თავზე „კიკიროზიანი“ ქუდი მხურავს და პტყელ-ბალ-

თიანი ქამარი მარტყია. დიდი ცელებიანი წალებით გადასახვა
ვადრაგუნებ.

თუ კახეთის რეინის გზაზე, მეგობრებო, წამოხვიდეთ და
დიდ სალგურზე გაჩერდეთ, იქ მე, გიული, დაგხვდებით,
ბევრი ტანჯვის მნახველი, მაგრამ ასეთ მოცინარი და მხია-
რული!

„გიულ, იქ მოდი!“

„გიულ, იქ წადი!“ — ისმის წამ-და-უწუმ ძაბილი და შეც
მოვდივარ და მივდივარ, ციბრუტივითა კრიკილებ მხიარული
გიული...

ვ. თამროშვილი



სარა ის დღე ასეთი მუსიკურისტი იქ და წესიდებ მანა ნა
კოდოსითამ აკრ არ ისე ის დევილი ის დაკავები არ და
არ და არ და არ და არ და არ და არ და არ და არ და
არ და არ და არ და არ და არ და არ და არ და არ და არ და
არ და არ და არ და არ და არ და არ და არ და არ და არ და



զՈՒ ՑՈՂԱԾ...

(ଲୁହାର୍ଦ୍ଵାନ୍ୟମ୍ବିତ୍ସୂଳକ ସାଲାମିକ)



„Ըլուածու ճոճ Շնոմե!...

სალაში წრფელი, უანგარო, ვით პა-
რია თბოლის უნდეში კრემლები...

და... უმწიკვლო, ვით ცქრიალა ზეფირის
ჩუმი ქვითინი...

და... უმანქო, ვით გარდის მკერდზე
აკორდებული, დილის ბრჭყალა ცვარის ღი-
მილი...

ଲା... ଗାମାର୍କ୍ସ୍‌ଟ୍ୱେଳ୍ଡା ଦ୍ୱାରାରୁଥାରୁ ତୁ!

იყოცხლებ დიღხანს... დიღხანს! შრავილ-
გამიერ...

და... რათა შენი სიმღერა, შენი ზეციური ჩანგის სიმთა
რჩევა და დაუსრულებელი გრძნობის ზღაპარი, სულის შეირი
ამ მოქალაქებოდეს ჩვენს პატარა ყმაშვილებს!...



ወጪ የሚያስፈልግ በዚህ የሚከተሉት ነው፡፡

პარ გეგიშიძეს, ძირ შიომ!

გისურვებ დიდი ხნის სიცოცხლეს — ჩვენი ერის საკეთილ-დღეოდ...


ჩვენი პატარა, მაგრამ ზურმუხტოვანი საქართველოს საა-
მაყოდ...

ჩვენი პატარა ყმაწვრლების მესაიდუმლევ, დიდო პატარა!..

.... କୁଣ୍ଡ ଦେଖିବାରଙ୍କ ଗୁଣି!

ବ୍ୟାଙ୍ଗ - ରେଣ୍ଡିନ୍ଡିଲ୍ଜୁଗ୍ରାମ





ოქროს შველის ზღაპარი



ყო და არა იყო რო, ლვის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დიდებული ხელმწიფე, რომელსაც ჰყავდა სამი ვაერიშვილი. ამ ხელმწიფემ ისურვა სიცოცხლეშივე დიდებულ სასახლის აშენება, რისთვისაც მოაგროვა აუარებელი ხე-ტყე, ოქრო-ვერცხლი, მოიწვია საუკეთესო სატარები და იმისთანა შშვენიერი სასახლე აავი, რომ ქვეყანაზე მისი ბადალი არსად მოიპოვებოდა. მერე შემოავლო შშვენიერი, სულ თლილი მარმარილოს ქვის გალავანი და გაუკეთა სამი ქიშვარი. თვითეულ ქიშვარს გაუკეთა სხვა-და-სხვა წარწერა.

პირველ ქიშვარზე დააწერა: „ამ ქიშვარით ვინც წავიდეს, შინ შშვიდობით დაბრუნდესო“; მეორე ქიშვარზე დააწერა: „ამ ქიშვარით ვინც წავიდეს, ან შშვიდობით დაბრუნდეს, და ან არაო“; მესამე ქიშვარზე კი დააწერა: „ვინც ამ ქიშვარით წავიდეს, შინ ცოცხალი ვეღარ დაბრუნდესო“. ამის შემდეგ გადაიხადა ამ დიდებულ სასახლეში დიდებული ნადიმი, დიდი და უხვი მოწყალება გასცა ქვრივ-ობლებ-გა-შირვებულებზე, დალოცა თავისი სამეფო და მასთან ერთად თვეისი სამი ვაერიშვილი და ცოტა ხნის შემდეგ განუტევა სული.

ერთი წელიწადი იგლოვეს შეიღებმა თავისი ძირის ქადაგი მამა. წლის შემდეგ უფროსში ძმამ მოაყვანინა ნაზირ-ექიმებს თავისი ბედაური ცხენი, შეაკაზმვინა, ასესა სანადირო იარალი და წავიდა სანადიროდ. შინ კი დაიბარა: „სადილს უჩემოდ ნუ სჭამთ; უსათუოდ სამხრობამდის კარგი ნანადირევით მელოდეთო. წასელით კი სწორედ იმ კიშკრიდან წივიდა, რომელზედაც ეწერა: „ვინც იმ კიშკრით წავიდეს, შინ კუცალი ველი დაბრუნდესო“. მშები და ნაზირ-ექიმირები ბევრს ეხვეწნენ,—ამ კიშკრით ნუ მიღიხარ, ხიფათს რასმეს გადაეკიდებიო, მაგრამ იმან მაინც თავისი არ დაიშალა:—არხეინად იყავით, თქვენ ჩემი ფიქრი ნუ გაქვსთო,—და გასწია სანადიროდ.

თავისი ბედაურით მსწრაფლ-გადაიარა ველ-მინდვრები და აეიდა ერთ მშევნიერ მთაზე. იქ მან დაინახა ერთი მშევნიერი შეელი. იმიზე უკეთესს კაცის თვალი ვერას ნახავდა:—სულ ოქროსაგან ჩამოსხმულს ჰგავდა. ხელ-მწიფის შეიღმაეს შეელი მოსაკლავიდ ვერ გაიმეტა და გადასწყვიტა მისი კუცხლად დაჭერა. შეელი მიწაზე რომ დაწვებოდა და გაინაბებოდა, მაშინ ხელმწიფის ვაჟი ნელ-ნელა მიეპარებოდა, და ხელი რომ უნდა ეტაცნა, შეელი მსწრაფლ წიმოვარ-დებოდა და, რამდენსამე მანძილს რომ გაივლიდა, ისევ მიწაზე გაინართხებოდა და მონადირის მოახლოვებას უပდიდა.

მონადირე კი ახლა ხელახლად ნელა ეპარებოდა, და, როცა ხელის წატანებას დაპირებდა, შეელი კვლავ ხელიდგან გაუსხლტებოდა. შემდეგ კიდევ შორს მანძილზე ხელახლა მიწაზე დაწვებოდა; მეფის ვაჟი კვლავ ეპარებოდა, მაგრამ ის ისევ ხელიდან გაუსხლტებოდა და ასე და მმარილ სულ წინდაწინ გარბოდა.

სწორედ სამი წელიწადი სდია მეფის ვაემა ამ საოცარ შეელს, და არ იქნა და არა,—ვერას გზით მისი დაჭერა ვერ მოახერხა. ბოლოს გამოჩენდა ერთი საუცხოო ოქროს სასახ-



ლე. შველი მიიკრა ამ სასახლის კარებთან. კარი გრძელი დროის შემდეგ
შველი შიგ შევიდა. ვაჟიც მივიდა ამ სასახლესთან. პირვე-
ლად კარგა ხანი იჯდა სასახლის წინ, ისევნებდა; მერე-კი
შეალო კარები და თავის ბედაურიანად შევიდა შიგ.

სახახლეში შან ნახა: სდგას ოქროს მაგიდა, ზედ ოქროს
სამოვარი და ჩიისათვის ოქროს ხელსაწყუა. მაგიდასთან ოქ-
როს სკამზე ზის მშევნიერი მშეოუნახავი და მიირთმევს სა-
კმელს. ამ სანახობიში ვაჟი ძალიან გააკირევა; მშეოუნახავის
დანახვამ სულ გონიერა დაუბნია.

ცოტა ხანს შექდევ, როცა გონს მოვიდა, ჰეკითხა მშე-
ოუნახავს: „დილის აქეთ ერთ ოქროს შველს დავსდევ, რომე-
ლიც ვერის გზით ვერ დავიკირე; ახლა-კი ამ სახახლეში შე-
მოვიდა და, თუ შენ გუავს, გთხოვ, რომ მიბოძო ის შველით“. (სამ წელს შველის დევნა ვაჟს თურმე ერთი დღე ეგონა.
თურმე ეს მშეოუნახავი ის ოქროს შველი ყოფილიყო).

ქალმა უპასუხა: — „შენ, როგორც გატყობ, მშეორი უნდა
იყო. მოდი ამ მაგიდასთან — ცოტა შენაყრდი; მერე კი სამ სიტყ-
ვის გეითხავ. თუ ჩემ კითხვებზე გიპასუხნია, ხომ კარგი, — ცო-
ლად წამოგვყები; თუ არა და ამ ჩემი მათრახით ქვა-მარილად
გადაგაქცევ, როგორც მრავალი შენისთანები გადავაქცევ ქვა-
მარილიდათ.“

და ანიშნა სხელის ერთ კუთხეში მისგან გაქვავებულ ვა-
უბნე, თავისი ცხენებიანად.

მეტი რაღა გზა ჰქონდა: ვაჟი მიუჯდა მაგიდას, ცოტა
ჭიათ და დალია და თან ფიქრობდა, რომ სწორედ ახლა კი
მოვიდა ჩემი იღსასრულის დღეო ქალმა ჰეკითხა: — მითხარი
შენ, ვაჟო, იასამინ, ვარდოსამინ ლაიტაძე ვინ ყოფილი და
ან რა იქნებიო?

ბევრი იფიქრა ვაემა, ბევრი ივაგლახა: რაც წიგითხულ
ნასწარული ჰქონდა, ყველაფერი წინ ხელის გულსავით გადი-
შალა, მაგრამ ამ კითხვების პასუხის ვერასუერი ვერა ვიგო-
რა. — გიჯობნიაო, — მოახსენა მშეოუნახავს. მშეოუნახავაც



ბევრი ილაპ დააყოვნა, თოთოჯერ გადაჭრია მათრიხის გეგმებზე
მის ცხენს და ორივე მსწრაფლ ქვემარილად აქცია.

სამი წელიწილი მოუთმენლად ელოდნენ თრივე შინ დარჩენილი ძმები უფროსი ძმის დაბრუნებას, მაგრამ რა დაინახეს, რომ ის სახლში აღიარ ბრუნდებოდა, გადასწყვიტეს ერთ-ერთი მათგანი წისულიყო მის სძებრად.

ახლა შეუთანა ძმაშ გამოიყვანინა თავისი ბედაური ცხ-
ნი, შეკაზმა, აისხა სავარეკაცუ იარაღი და ისევ იმ ჭიშკრიდან
გაუდგა გზას, საიდანაც მისი უფროსი ძმა გამოვიდა. აეიდა
თუ არა მთაზე, ისევ ის ოქროს შველი დაინახა. ისიც გამოუ-
დგა და ეპირებოდა, რომ კოცხლად დაეჭირა, როგორც მი-
სი უფროსი ძმა. შველიც ისევ წინანდებურად ხელიდან უს-
ხლტებოდა, როგორც უფროს ძმას, და ისიც იმ სახახლებ-
დის მირყვანა, სადაც თვითონ ცხოვრობდა.

სასახლეში ამ საშუალო ძმასაც მზეოუნაბავად ქმოვა;
ისიც ისევე მიიპატიფა ოქროს მაგიდასთან, როგორც
უფროოსი ძმა. მერე იმასაც ის ჰყითხა: იასამან, ვარდოსამან
ლიატაძე ვინ ყოფილი, და ან რა იქნებაო? და იმანაც რომ
ერთ უპასუხა რა, ისიც ცხენიანად თავისი მათრახის გადაკვე-
რით წავ-მარილად აქცია.

ბევრი უცადა უმტროსში ძმამ უფროსი ძმების დაბრუნებას და, რა ნახა, რომ ისინი არ ბრუნდებიან, ახლა თვითონაც გამოიყვანა თავისი ბედაური ჯორი, შეპარაზა, ისხა აბჯარ-იარალი და იმავე ჭიშკრით გაუდგა გზას ძმების საძებნელთან.

მთაში იმანაც ნახა ისევ ის ოქროს შეელი მოინდომი
იმისი კოცხლად დაჭრა, მაგრამ შეელმა მოტუცუბით ისიც
თავის სისახლეში მიიყვანა. სისახლის კარგი რომ შეაღმ და
შიგ შევიდა, იმანაც ოქროს მაგიდასთან ოქროს ტახტზე
მჯდომი მზეთუნახავი ქალი დაინახა.

ვაეგძა რომ ქალს ოქროს შველის მმბავი ჰკიოთხა, ქაღმა, ჩვეულებისამებრ, ისიც სუფრაზე მიიწვია, უკრა დანაცყრ

და იმასაც უთხრა: — ერთ რასმეს გყითხავ; თუ გიშესუბნის მიერ გამოგყები, თუ არა და, შენც მათხევით ჩემგან ქა-მარილიდ გადაქცევა მოგელისო... და უჩვენი გაქცავებულ ვაევებზე.

— ისამან, ვარდოსაშან ლაიტაძე ვინ ყოფილი და ან რა იქნებაო? — ჰეითხა ქალმა. ვაემა რომ ამ კითხვებს ასავალი დასავალი ვერ გაუგო და ამასთან ვევე გაქცავებულებს შორის რომ თავისი უფროსი ძმები იცნო, ელდა ეცა და ძრიელ შეშინდა. მსწროფლ მოახტა თავის ჯორს: — აპა, ჯორო, თუ მიშველი შენ, თორემ უუდად არის ჩემი საქმეო, — და რაც ძალი და ლონე ჰქონდა გადარჩინის მკლავის სისხო მათრახი.

სანამ ქალი გონს მოყიდოდა, ჯორშა გაამტერია კარ-ფანჯრები და ყმაწვილი სამშეიდობოზე გიყვანა. ყმაწვილმა მადლობა შესწირა ღმერთს გადარჩინისთვის და ჯორს კი თვალები დაუკოცნა.

ბევრი სიარულის შემდეგ ყმაწვილი შეხვდა ერთ ბერი-კაცს. ერთმანეთის ამბეის ვამოკითხვის შემდეგ, ყმაწვილმა შესთხოვა მოხუცს: მასწავლე, თუ რამე იცი ისამან, ვარდო-სამან ლაიტაძის შესახებაო. — მე არა ვიცი რა, რომ ვასწავ-ლოო, — მიუგო მან, — მაგრამ გზის კი ვასწავლი, რომ მიაღწიო შენს საწადელსაო. და ასწავლა შემდეგი: — შენ წადი, და თი-აქედან რომ დიდი ვამოკვაბული კლდე მოჩინს, იმას გადა-დექი თავიზედაო. იმ კლდიდან წელიწადში ერთჯერ ვამოდის რაში თავისი ლაიტაძოა და, რადგან მისი ვამოსვლის დღე სწორედ დღეს არის, ეცადე, რომ რამე გზით რაში ზურგზე მოაჯდე, და მერე იმან იცის ყოველივეო.

ყმაწვილმა მიაბარა ამ ბერიკაცს თავისი ჯორი და თვი-თონ ვასწია კლდისაკენ. მართლაც უოტა ხნის შემდეგ კლდი-დან ვამოვიდა ყოველისფრით მორთულ-მოკაზიმული რაში, რომელსაც ვაეკი მსწრაფლ ზურგზე მოახტა. რაში ძალიან ვაჯაერდა; ბევრი ეცადა, რომ ვაეკი ან მიწაზე დაენარცხებია, ან კლდეზე მიესრის-მიეკულიტა, რისთვისაც ელვის სისწრა-

ფიც ის ძირს და მაღლა აღიოდ-ჩი მოღიოდა; ვაჭი-კასტრა-
ტურად ხან ზურგზე მოექცეოდა, ხან მუცელ ქვეშ, და ხან
აქეთ-იქით გვერდებზე, ამიტომაც რაშმა ვერასფერი ვერ
დაიკლო.


— დაგრჩენივარო, — უთხრა რაშმა ვაჟს და ენა ამოიღა.
ყმაწვილიც მოუყვა თავის თავგადასავალს და შველა სთხოვა.

რაშმა უთხრა: ჩვენ უნდა გავიაროთ ეს კლდე, რომელიც
სამი თვის სავალია; შეგრამ მე სამ-საათში გაგარონინებ; მიგი-
ყვან ერთ უზარმაშარ მუხასთან, რომელზედაც არწივებს ბუდე-
აქეს; და მერე არწივებმა იკიან შენი საქმეო.

შედეგ. ი. შაჰარ, შეიძლი

(დასასრული იქნება)





მოჭიდავენი

(იგავ-არაუკი)

კოხელ პეტრეს და ივანეს ჭიდაობა განეზრახა:
სურდათ მათი ვაჟუაცობა მოელ ქვეყანას დაენახა,
ხალხს მოუწმეს, თან დანიშნეს დრო, დფვილი შესაფერი;
ერთი სიტყვით, ჭიდაობას აღარ აკლდა აჩაფერი.

ჭიდაობის კანონ-წესი სხვა-და-სხვაა და მრავალი,
და იმათაც ხალხს აუწყეს, (მოხადეს თეისი ვალი),
რომ მათ შორის ის იქნება დაცუმული, დაძლეული,
რომელიც ცას დაინახავს—ძირს პირ-აღმა წაჭცეული.

პეტრე არის ღონიერი, ღონით უნდა გამარჯვება,
ივანეს კი, მაგიერალ, უფრო ხერხი ემარჯვება:
მაგრამ ჯერ კი არვინ იცის—ვინ-ვის დასცემს, ვინ-ვის დასძლევს:
ზოგს ხერხი სწამს, და ზოგი კი მნიშვნელობის ღონეს აძლევს.

ჰა, გამოჩენდნენ მოედანზე საჭიდაოდ მოკაზმული.
გამოურკვევ მოლოდინით აუძგერდა უცელას გული.
ჩაურბინეს სწრაფლ ერთმანეთს, წაუტაცეს მარდად ხელი,
მაგრამ, უცებ ივანე კი შორის გადახტა, როგორც შველი.—

პეტრეს უნდა ხელში იგდოს, ძალით მიწის დაანარცხოს;
ივანე სულ სხვა ხერხს ხმარობს, სხვაფერ უნდა დაამარცხოს.

დასდევს პეტრე, ოფლი მოსჩერეუს; მაგრამ ვერა გააწყო-რა...
ამ ღრმს უცებ მას ივანემ კვანტი გაჰქირი, გააგორი—


და დააწეა უცებ ზურგზე. ხალხი ერთხმილ ახმაურდა.
ვინ სიამით ილიმოდა, და ვის გული დაუწყლულდა...
პეტრემ, რა სუნ—წახდა საქმე, მსწრაფლ დაემხო ძირს პირდალმა,
ივანემ ის ატრიალა, ხან უკუღმა და ხან წალმა,


და ბოლოს კი, როგორც იქნა, როცა იგი მოლად მოქანდა,
ძირს, პირალმა დააწვინა, დაანახვა ლაუგარდი ცა.
და გათავდა ჭიდაობა. ისმის ტაში, ერთამული.
პეტრე წევს და გაიძიხის: —არა, არ ვარ დაცემული.

ცას ვერ ვხედავ; გეფიცებით, თუ მწიმს ღმერთი, თუ მწიმს რჯული...
მართლაც, ნახეს: თურმე პეტრეს თვალი ჰქონდა დახუკული!..

დავისრულე. იქ დავისკვნი, და იგავიც მას მავალებს:—
ხდება ხოლმე: სიმართლის წინ კაცი განზრახ ხუჭავს თვალებს.

ა. სიხარულის





მხოლოდ ჩემ ციკ უბეში მთის ვენები.



აზაფხულის საამო დილა იყო. მზე დიდ მანძილზე დაშორებოდა ცის კიდეს, და იმიტომ საკმაო სითბოს აწედიდა თავის სამეფოს. მზის ცხოველმყოფელ სხივებს ისე ხშირად ეწაფებოდა დედამიწაზე ყოველი არი, როგორც აკვანში ჩაკრული მშიერი ბავშვი — რძით სიესე დედის ძემს.

— მადლობა ღმერთის: მელირს ყინვისგან ზურგ-დამწვარს გათბობა! — ჩაილაპარავა რიყის კენჭმა, რომელიც ის იყო მზის სხივების დანახვაზე მდინარის ნაპირას მოვირდა.

— ჩემი გათბობა მხოლოდ მხურვალე მსოფლიო მნათობს შეუძლია: საღამომდინ ისე გავხურდები, როგორც ფოლადის ნატეხი ქურაში, — სთქვა ჩან და მდინარის ნაპირზე მოიკალათა.

მზის სხივებში მდინარის ძირამდინაც ჩაიღწიეს. თევზებმა კუდის ქნევით მაღლა-მაღლა ასვლა იწყეს და ნაპირს მია-მურეს.

— მზის სხივები კარგია, მაგრამ საშიშიცაა, — ამბობდნენ თევზები: — რამდენი მტერი გვყავს! უნდა დავიმალოთ: მეტი ჯანი არ არის!



შემინებულმა თევზებმა მდინარის პირად მოგრძელდა ცეკვა.

ასე შფოთავდნენ, და ვერც კი შეამჩნიეს სილიაზე ამაყად
მწოდობრე პატარა კუნჭი, რომელიც თავისი უფლად მზეს ეფი-
ცხებოდა. შემოჰკრა ერთმა თევზიმა თავისი მძღვანელი ბოლო
და საბრილო რიყის კენჭი მდინარეში გაიღება.

— ոչ, ովքը պահպանութեան, պահպանութեան լարիուսայքն! ովքը-
նո սումայն ցանկութեան մեջ գամաշխատութեանդէ՞ւ?

სოქვა თუ არა, წყალში ჩამდენჯერმე ჩაიყურესუმელავა
და ჩეკვს მიაშურა. ჩეკვმა შეახტუნ-შემოახტუნა, ერთი კი-
დედე დაატრიალო და მაღლ სამგზავროდ ვისტუმრა.

— სად გავითიო ლამე? რა მეშვეოლება მე საცოდავს:—
ამდენი ტრიალით ლამის თავბრუ დამესხს. მეტი გზა არ
არის,—უნდა მეგობრებს მიემართო: ეგებ როგორმე მიშვე-
ლონ.

ამ აზრში გაუცლვა თუ არა თავში ჩვენ კენტს, ცხრაჯერ გადაკორტიკოლდა და ყრთ რიყით სავსე ორმოში ჩაწევა.

მაგრამ—ოჯ სიოურებავ! ისე რბილად დაეცა, რომ ვაწია
ხმაც არ ამოუღია.

— ա, Մյ Տեմացըլո, Թաթանթալո! Իս Ծացը Մացը Ցածս,
Առա Մյնո Երատոյըրո Տօմացնենուսատցու Գայնորացքուլ Հապա-
մյոցիս տացո Գամուրեցե! — Կայուննա ճակապու. — Եշանուստան Կա-
հոլցիմա Ծալունցը կը պանա! Ծացը մանակ Քիմի Մյուլուրո Ցոնան,
Մացրամ ուրուզ — Յուր Ցոնսման ըցմունուլու!

სოენა და ერთ პატარა ქვიშე ახტა. გადაავლო თვალი
მდინარის ნაპირს, საღაც ნიავი საამოდ არხევდა მწყანე სქელ
ბალახს.

ბაყაყს მოეწონა ეს ბალიხი და იქ მოსევენება ინდომა. ისკუპა და შეიგ შეუა გულში ბერტყა გააღინა.

— ոչ, Մյուսը առաջ չ'ալսածու! — հաս մյուրախու սրա-
նամասսական, գլուխացած առևտինութեան? ցու հա գալութեաց, մոտեածո
լցուուն զարդարացած է առաջական, Մյուսը առաջ զամանակու? — պատճեան գալութեաց,
ու առաջ լուսական կազմակերպութեացած է առաջական, — հարուստ գալութեաց,

ერთი დღის სიცოცხლე რად გამიმწარე?! სხვას სურაზ კუთხია უნდა ამთართვა შენი სიამოვნებისთვის. რაღა მეშველება მე საცოდავს: ფრენა რომ ვეღია შევძლო, ხომ მშიერი მოკვდები.

ასე გულსა კლავად მოსთქვამდა პატირა პეპელა, რომელიც დასასცენებლად ჩიფრენილიყო ბალახებში და ფრთხებს ისწორებდა.

უოტა რომ სული მოითქვა, გაისწორა ფრთხები, იფრინდა ბალახებიდან და გულნატკენი ერთ ნაზ ყვავილზე დაეშვა.

გაზაფხულის ყვავილის სამო სურნელებამ მაღა გაულივა: გამოქუთ თავისი ისარი, შეი შეა გულში ჩაურქო პატირა, ნაზ ყვავილს და წუწნა დაუწყო.

ოჲ, მიშველეთ: მაწამებენ მე საცოდავს! ვის რა დაუშავე? სირცხვილი არ არი! ერთი წუთის სიამოვნებისთვის მოუპავენ მე საწყალს? ოჲ, შე ფანდალა დღე ნაკლულო შენა: რად მისპობ სიცოცხლეს, რათ მტაცებ ჩემ წვლილ საზრდოს? იმის-თვის, რომ გიმირჯვე?

ეს სოქვა თუ არა, საცოდავად იქვითინდა; გადმოყარა მარგალიტივით ლამზი ცრემლები, რომელიც ცივ ტყვია-სივით მიწაზე დაცუნდა. მიწამ ხმა მისცა:

რა გატირებს, ჩემო ნაზო ყვავილო?


— როგორ თუ რა! — ძლიერ სულის ლაფვით ექურჩულებოდა გაზაფხულის ყვავილი:

— გამამწარებს, საზრდო მომტაცეს, სული ამომწუწნეს. კვდები მე საცოდავი.

სოქვა თუ არა, კისერ-მოწყვეტილი მიწაზე დაეცა და სული განუტევა.

— პოოო! — მიძახა მიწამ: — მე დაგაქმაყოფილებთ კველის: ჩემს ცივ უბეში მოისეენებთ მხოლოდ და მხოლოდ! — მოპარები თავისი ცივი ხელები, და ტანჯვაც გაქრა.

სადიკო ვაშაძე





ზღვის ტალღების აკვანში



ია, —ჰერთა ყმაწვილმა, —ბილლი აშბობს, რომ ზოგი
თევზი სახლშე უფრო დიდია.

ბიძიამ ცოტა არ იყოს გაჯავრებით შეხედა.

— ბილლის სისულელე უთქვამს. ასეთი დიდი თევზი არ
არის ქვეყანაზე. თუ მოიპოვება ასეთი უზარმაზარი ზღვის
ცხოველი, ის თევზი კი არაა —ვეშაპია.

— ვეშაპი ხომ წყალში ცხოვრობს?

— მართალია.

— მაშ რატომ თევზი არა ჰქვია?

— იმიტომ რომ ის თევზი არ არის, —მიუფო ბიძამ, —ვე-
შაპები ისეთივე ცხოველები არიან, როგორც ძალები და
კატები.

ერთი წუთის შემდეგ ბიძამ და განაგრძო:

— გესმის: ვეშაპი თევზი არაა, რადგან მას არ შეუძ-
ლია წყალში თევზივით ისუნთქოს. ჰაერის ჩასასუნთქავად
უსათუოდ უნდა ამოვიდეს წყლის ზედაპირზე და ისუნთქოს
ისე, როგორც ჩვენ ვსუნთქავთ. არ არის თევზი იმიტომ, რომ
შეილებს ისე ზრდის, როგორც ზრდის თავის შეილებს ძრო-
ხა ან კატა რძით, და... მაგრამ არის ბევრი სხვა საბუთებიც,
რომელიც ამტკიცებს, რომ იყი თევზი არაა.

— რა საბუთებია ნეტივი? — სწრაფად სთქვა ყმაწვილმა.
მაგრამ ბიძამ აღარ უცქერდა: თითქო ფიქრით სადღაც შორს
გადაფრენილიყო.



— როგორ გვონია, — უთხრა მან ბოლოს. — უფრო რჩება არა თავის შეიღებს თევზები ისე, როგორც უფრო შესტკილი შეიღს კეშაპი, რომლის უსახებაც მინდა ახლა გიაშო? არა; ნამდვილად გეუბნები, — არასოდეს. თევზს ასი ათასობით ჰყავს შეიღები, და უვლის კი არა იშათ, ხანდახან სქამს კიდევაც. კეშაპს კი მხოლოდ ერთი შეიღი ჰყავს. რასა კვირკველია ერთი შეიღი ჰყავს ერთ დროს; და დედა ვეშაპი ფიქრობს, რომ მის შეიღზე უფრო მშვენიერი და საყვარელი არსება ირ მოიპოვება მთელ ქვეყანაზე.

კუმაწვილი სმენად გადაიქცა.

— ეს ამბავი მოხდა შორს, ძალიან შორს, ჩვენი ქვეყნიდან, — დაიწყო ბიძამ და სადღაც შორს მიაპყრო თვალები. — აი იქ დაებადა დედა ვეშაპს პატარა ბოჩოლი ვეშაპი. ეს მოხდა შორეულ ჩრდილოეთში. ბოჩოლის მუქ-რუხი ფერის ლერწოიანი ზურგი და კუჭყიანი თეთრი მუცელი სრულიადაც არ იყო ისეთი ლამაზი, როგორიც ეგონა მის დედის, როდესაც ის ძუძუს აწოვებდა და ჩრდილო ზღვის გრძელი, წყნარი ტალღები ნაზად არწევდა დედა-შეიღს.

ბოჩოლის რეა-ცხრა ფუტი სიგრძე ჰქონდა, მაგრამ გეგონებოდათ მთელი ბოჩოლი მხოლოდ თავისიგან შესდგებოთ; თავი კი — მარტო პირისიგანაო. პირი კი... მაგრამ ამ დროს პირს ვერ დაინახვდით, რადგანაც ის თავის დედის ძუძუს სწოვდა. დედა მისი კი გაწოლილიყო ზღვის წყნარ ტალღებზე და უკბილო პირი, რომელიც ვევბა გამოქვაბულს ჰგავდა, ნახევრად დაელო. პირი მთელი მისი ტანის თითქმის ერთი შესამეცი იყო.

ვეშაპის დაღებული ხახა ბადეს წარმოადგენდა და იქერდა სხვა-და-სხვა პაწია თევზებს, ლოკოკინებს, კიბორჩხალებს და სხვა ამგვარ წვრილმან ცხოველებს, რომლებიც ზღვაში მრავალი ცხოვერობენ. ვეშაპს ზევითა სასიღან თრ მწკრივად ეშვებოდა ქვევით რქის მაგვარ ნივთიერების მზგავი სამკუთხიანი შოლტები. თითო მწკრივში 100—150 შოლტი არის.



ეროვნული

შუა შოლტებს 21/2 საექი სიგრძე აქვს. წარმოდგენილობა ვეება პირი ჰქონია ვეშაპს. ამ შოლტებისაგან ნამდვილი ბადე გამოდის. მისცურავს ვეშაპი ხახა-დაღებული და წყალთან ერთად შედის ამ ბადეში სხვა-და-სხვა წვრილი ზღვის ტბოველი. დრო-გამოშვებით იგი ზარმაციად ხურივს პირს; ენა ეკვრის სასის შუა ნაწილს. წყალი ამ დროს გარედ გამოდის და ნანაღირევი კი მიმმართება კუჭისაკენ. გადაყლა-პავს თუ არა პირში ჩაკვინულ სანოვაგეს,—თევზებს, მედუ-ზებს და სხვა წვრილმან ტბოველებს,—პირს ისევ დააღებს და ელის, სანამ ისევ გაივსებოდეს. რამოდენიმე წუთის შემდეგ დედა ვეშაპი თავის ტხინის ნესტოებიდან, რომლებიც თავის ზედა ნაწილში აქვს, ამოუშვებს თეთრი ორთქლის დიდ ზაღრევანს. ეს იმას ნიშნავს რომ მან ამოისუნთქა გაფუტე-ბული ჰაერი. ეს ორთქლით გაეღენთილი ჰაერი შორიდან მოსჩანს.

სწორედ ასევე იქცევა ბოროლაც, თითქოს დედას ბაძევს: თავის დედის მეტადზე მიხურტებული დრო გამოშვე-ბით ამოუშვებს ორთქლის სულითქმა შაღრევანს.

რასაკირველია დედა ვეშაპს არ შეეძლო ამ მცირე სა-კმლით თავისი ვეება სხეულის გამოკვება. სიგრძით ის თით-ქმის 60 ფუტი იყო და 9000 ფუტი სიმძიმე ჰქონდა. ხანდა-ხან ის რაღაცას ანიშნებდა შეილს. ნიშანი შეილს ძალიან კარგად ესმოდა. ბოროლა დაიხვევდა უკან დედის ვეება ტანის დაყოლებით. ვეშაპი ასწევდა თავის ვეება კუდს მაღლა და ნე-ლა იძირებოდა მომწვანო წყლის სილრმეში. შეილი კი ფრთხი-ლად მიჰყებოდა თავის დედას.

ზღვის სილრმეში უფრო მეტი სიცოცხლეა, ვიდრე ზე-და პირზე. აურქარებლად, მარჯვედ მისცურავდა წინ დედა ვეშაპი და იქსებდა თავის ხახას შიგ ჩაკვინულ ტბოველე-ბით, სანამ ბოლოს არ იგრძნობდა, რომ საკმაოდ გადასანს-ლა 60—70 ფუტი საჭმელი. ზოგი თევზი, იგრძნობდა თუ არა საშინელი ვეშაპის მოახლოვებას, გამოუშვებდა მელნის



ნიაღვარს, რომ დაეცვა თავი დალუპვისაგან. ვეშაპტარი ქართული მო მაშინ ბნელი ლრუპელი ჩიდებოდა და შეშინებული შეკარ-ლი ეკვროდა თავის დედას. მავრამ ერთი ან ორი მძღავრად კუდის მოსმა საკმაო იყო, რომ ვეშაპს უფსკრულიდან თავი დაეხწია და მცეირვალე წყალში გაჩენილიყო. შემდეგ მიაღ-წევდა იმ ვიწრო გზას, საითაც მისცურავდა წერილი თევზე-ბის ჯოგი.

წერილი თევზების უანგარიშო ჯოგები სცურავენ ხოლ-მე ზღვაში. როცა ქარბუქი ამოვარდება, ამ თევზებს გამოჰ-ყრის ხოლმე ტალღები ნაპირას და გროვა-გროვად ყრიან, იმ ადგილას, სადაც ზღვის პირად მცხოვრებლები არიან, მო-დიან ხოლმე გლეხები, აგროვებენ და მიაქვთ შინ მიწის გა-სანოყიერებლად, პატივის მაგიერ.

რასაკვირველია, როცა დედა-ვეშაპი მიაგნებდა ამისთანა თევზების ჯარს, დიდი დრო როდი სჭირდებოდა თავისი გაუ-მაძღარი კუჭის ამოსავესებად. გაძლებოდა, მერმე ისვენებდა და ეალერსებოდა თავის შეილს.

12—15 წუთის განმავლობაში წყალში ყოფნის შემდეგ დედა გრძნობს, რომ ცრია ამოვიდეს გარედ ჰაერის ჩასასუნ-თქვევად. თვითონ კი შეუძლია 5—10 წუთი კიდევ მოითმი-ნოს, მაგრამ პატარას კი აღარ შეუძლია უპავროდ დარჩენა.

— როდორ სძლებენ ამგენზანს უპავროდ, — შეპყვირა ბავშვია: — ხომ დაიხოცნენ!

— რასაკვირველია ადამიანს ორ წუთში მოპყლავდა უპავრობა, მაგრამ ვეშაპს ერთბაშად შეუძლია ძილიან ბევრი ჰაერი შეისუნთქოს, რადგანაც ფილტვები ძალიან დიდრონი იქნება, და როცა შეისუნთქაეს, შეუძლია 10—15 წუთი უდარ-დელი იყოს.

— როდესაც დედა-შეილი ისევ მოეიდნენ წყლის ზედა-პირზე, ამოუშევეს ფილტვებიდან შეგროვილი ჰაერი. ბორ-ლას პატარა შადრევანი დედის დიდ შადრევანს მიშეკვებოდა კვალ-და-კვალ. პატარა ყოველთვის მშიერია, რადგანაც სწრა-



3605340

ფად იზრდება. მოცურდნენ თუ არა მალლა, მაშინეულ ჟეკულ და წოვნას. დედა კი სოვლემდა ნაზ ტალღებზე. მალლიდან თავს დასტურიალებდნენ ზღვის თეთრი ფრინველები და სტაცებდნენ თევზებს, რომელიც ტალღებს მიჰქონდა მისთვის.

იმათვანებით ყინულზე წამოწოლილი, თბებოდა
და ნებისმიერი სიმი ზღვის ძალის; ცოტათი კიდევ უფრო
შორს, ზღვაში მოსჩინდნენ ვეშაპები და ისროლნენ ჰაერის და
ორთქლის შიდრეების.

დიდ ვეშაპს არ შეუძლია ორ-სამ წუთზე მეტი წყლის ზედა პირზე დარჩენა; უმთავრესად იგი წყლის სიღრმეში ცხოვ-რობს; ახლა კი, რაღაც შეიღო ჰყავდა, უნდა ერთავად ეწოვე-ბინა, და ამიტომაც უფრო ხშირად რჩებოდა წყალზე, სანამდის ჟიშვილი არ იმუშავდა ზოგაში ჩაირიგის.

საზოგადოდ ვერაცი ფრთხილი არ არის; ახლა კი ძალიან ფრთხილად იყო და რაიმე მცირე დაბრკოლებაც აშინებდა.

ერთხელ, როდესაც ის უდაბრდელად ქანაობდა ტალღებზე, ერთბაშად შეამჩნია შევ-ცხვირა თეთრ-ბეწვიანი თვე, რომელიც წყალში მიიპარებოდა. მან იკოდა, რომ ეს თეთრი დათვი იყო, მაგრამ იმდენად დიდი და ლონიერი არ იყო, რომ რაიმე ვნება მიეყენებინა მისი შეილისათვის, თუმცა დათვი საუცხოოდ სცურავდა. მაგრამ ვეშაპის დელობრივი გრძნობა მაინც ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ დათვი მისი შეილის სიახლოეს იყო. ვეშაპი ისე მოტრიალდა, რომ დაფარა შეილი, რათა დათვს არ დაენახა; მაგრამ დათვს არც კი გაუხედავს იქითკენ. ის შიდოოდა სანაღიროდ ყინულზე გაწოლილ ზღვის ძაღლებისაკენ. დათვმა ჩაიყურუუმელიავა, წყალში დიდხანს იყო დამილული და ამოცურდა სწორედ იმ ყინულის კიდესთან, სადაც სელაპები ნებივრობდნენ. სწროვად დაიკირა ერთი, სხვები კი ჩაცვიდნენ წყალში.

დედა-ვეშაპშა არ მიაკუთ არაეითარი ყურადღება იმ სი-
სხლის ღვრას. სანამ შორს იყო დათვი, იგი სრულიადიც არ
იყო მისთვის სინტერესო.

მაგრამ ვეშაპმა უცებ ყურები სკეფიტი: — შეამჩნია ჩქონდებული თავის ნათესავებში — შეი, ნელა მომავალი, ვეშაპებზე მონადირე გემი. მან იცოდა, რომ ეს უცნოური შენობა, სადაც მოძრაობენ პაწაწერინა, მაგრამ ერთობ საშიშარი არსებანი, ყველაზე უფრო საშინელია მათთვის — ვეშაპებისათვის. ვეშაპი ძალიან შორს იყო იმ საშინელ გემისაგან, მაგრამ ისე შეშინდა და იღელდა, რომ სუნთქვაც კი აღარ შეეძლო. ხედავდა, რომ საშინელი გემი ეპირება ერთ მის ნათესავს. გემმა ზარდამცემი აღი ამოუშვა. იმის ზედა პირიდან მჭახე ხმა გაისმა, და ჩეენმა ვეშაპმა დაინახა, რომ ერთი მისი ნათესავი — უზარმაზარი ვეშაპი — შეტრიალდა ჰაერში, საშინელი ზხაპუნით ისევ ჩაიხარდა წყალში და ისე ააღელვა ზღვა, რომ გემი თითქო შეტრიალმანდა ტალღებზე. ერთს წუთს ზღვა სდულდა ბრძოლის ადგილას. მერმე თანდათან დამშეიღლდა ყველაფერი და დედა ვეშაპმა დაინახა, რომ რაღაც ეწეოდა ვეშაპს გემისაკენ, სინამ სრულიად არ შიიტანა გემთან.

ამ შემთხვევამ შიშით ააგსო დედის გული და ააკანკალა. მან ჩიხურტა შეიიღი, ჩაჰყენთა ზღვის სიღრმეში და გასცურა ისე სწრაფად, როგორც კი შეეძლო იმის შეიღლა.

200 ფუტის სიღრმეზე ჩაეშვა ზღვაში და გაექანა იქითკენ, სადაც მისი ანგარიშით არ შეხვდებოდა იმ საზისლარ გემს.

როდესაც 15 წუთის შემდეგ ვეშაპი ამოვიდა წყლის ზედა-პირზე, საზიზღარი გემისა და ყველა მისი ნათესავებიც შორს იყვნენ. იმათ დიდი ყინულის გორა ეფარებოდა. მაგრამ მან მაინც ვერ მოისცენა. ორი წუთის შემდეგ, შეისუნოქა თუ არა ბოქილამ ჰაერი, ვეშაპი ისევ ჩაეშვა წყალში და მისცურავდა შორს. თორმეტჯერ რომ ეს განიმეორა, მხოლოდ შემდეგ იგრძნო ცატაოდენი შევბა. შესდგა და გაწვა ტალღებზე ვება კლდეებით გარშემოზღუდულ ზღვის ყურის კიდესთან.

აქ ის ძალიან კარგად გრძნობდა თავს. ამ ადგილას სწორედ ის საჭმელი დახვდა, რომელიც ძალიან უყვარდა. ჩვეუ-



ლებრივ ტყვეის ფერი მომწეანო ტალღები მკრთალური ქადაგის ზე და ფერი დებულიყო. მა საუცხოვო ფრად შეეცებს ტალღები პარი სულდგმულებმა, რომლებიც აქ, წყალში, მრავლად ფუსტუსებდნენ.

დედა-ვეშაპს ძალიან უყვარდა იმათი ამოცხრილვა წყლიდან, და ამიტომაც პირდალებულმა ნელ-ნელა იწყო ჩხევი წყალზე. დროთი-დრო ის ხურავდა პირს და უშეებდა წყალს; მისი პატარა, კანის ნაკუკებში ჩამალული, თვალები კი მა დროს სრულ კმიუყოფილებას სახავდნენ.

მალე აღმოჩნდა, რომ იგი აქ მარტო არ იყო. პატრი სავსე იყო სხვა-და-სხვა ხმაურობით: ისმოდა მრავილნაირი სტენა და ფრთხების ფარფაში. ზღვის ფრინველებს ჯარად მოეყარათ აქ თავი; საშინლად ყვიროდნენ, ჩხუბობდნენ; ამ საუცხოო საუზეს ერთმანეთს ეცილებოდნენ.

დრო-გამოშევებით აქა-იქ ამობურთული ზღვა ამტკიცებდა, რომ რაღაც უზარმაზარი თევზებიც ერივნენ ამ ნალიშში.

დედა განსაკუთრებული ყურადღებით აღვენებდა თვალი ყურს ამობურთულ ზღვას, თუმცა არაეითარ ხიფათს არ მოელოდა. იგი უკვე ათავებდა ჭამის, რომ უცებ შენიშვნა ამ აუარებელ პარია სულდგმულებში მისკენ ჭურდულად მომავალი რაღაც გრძელი ცხოველი. მან ძალიან კარგიდ იკოდა—ვინ იყო ის, და ხედავდა, რომ ეს საშინელი არსება პირდაპირ მის პარიას უმიზნებდა მახვილს, რომელიც გრძელ ცხვირზე ჰქონდა გამოსხმული.

თუმცა უზარმაზარი და თითქმ უძრავი სხეული ჰქონდა, დედა-ვეშაპი საშინელი სისწრაფით, ცქვიტად მოძრაობდა. იგი ელვის უსწრავეს მოტრიალდა და ხმალთვეზასა და თავის შეილის შეუ განჩნდა. ის-ის იყო მოასწრო,—და შვილის მოსაკლავად მოლერებული მახვილი დედას მოხვდა გვერდში.

აფაზაკმა ამოგლიჯა თავისი საშინელი იარაღი და ახლა ელვისავით გაქანდა მეორე მხრიდან. მაგრამ დედა-ვეშაპი მასზე უფრო მარჯვე იყო: მოტრიალდა მეორე მხარეს, დაიფარა თავისი შეილი და შეორედაც თვითონ მოიხველრა მტრის მახვილი.

მაგრამ ხმალ-თევზა საშინელი ხერხიანი, სწრაფი და დამუშავებული აღმოჩნდა: თითქოს ყოველ მხარეს და ყოველგან იყო. დედა ერთ ადგილის ტრიალებდა; ირგველი მდუღარე წყალი მორევად გადააჭირა, და ამავე დროს შეილს თავისი ტანით იფარიავდა.

ბოლოს და ბოლოს გამჭარებულმა, შეილის საშიში მდგომარეობით და თავისი ქრილობებით შეწუბებულმა დედამ მორთო შემზარევი, საშინელი ღრიალი, რომელიც ასი ზარბაზნის გრიალის ჰგავდა.

ამ საზარელმა ღრიალმა დაიფრთხო ფრინველთა გუნდები: თავზარდაცემულ-ნი მოშორდნენ ისინი იქაურობას. ხუთი ვერსის მანძილზე ყინულზე ნებიერად მწოლარე სელაპები დაიფრთხნენ და გადახტნენ წყალში. უშიშარმა თეთრმა დათვა მაც კი, რომელიც უდაბურ ყურეში მიიპარებოდა ტალღებისაგან გამორიყულ თევზების საძებრად, ფრთხილად ასწია თავი და სმენად გადაიქცა.

მარტო ხმალ-თევზამ არ მიაქცია ირავითარი ყურადღება ამ თავების წირულ ყვირილს. ის ისევ ეკვეთა ბოჩოლაპს, მაგრამ ოდნავ აკუდინა მახვილი და დედას მუცელში ჩასცა.





၁၈၂၀၁၃၂၄

საცოდავ დედას სულ გონება დაეკარგა: შემინტებული მიერ
აკან კალებულ შვილს ის ერთ წუთსაც არ იშორებდა. იგი თავ-
განწირულად მოტრიალდა, დადგა პირდაპირ თავდალმა, ასე
რომ კულიდა ნახევარი სხეული წყალ-ზევით ამირთა და დაუ-
წყო ცემა წყალს თავის ძალუმი კუდით. საშინელად ალელდა
გარშემო წყალი, მაღლა ამოატივტივა ხმალ-თევზა, და იგი
ორი წუთის განმავლობაში გაბრაზებული უტრიალებდა გარს
ვეშაპს: ეტყობოდა ებრძოდა საშინელ მორევს, და ახალ ხა-
შვალებას ეძებდა მიზნის მისახწევად, თუმცა წყალი მას განზე
ისროდა. ბოლოს გვერდიდან ეკვეთა ვეშაპს და მორევის
ქაფსა და შეფეხბში რაც ძალი და ლონე ჰქონდა შიგ გულ-
ში ჩასცა მახვილი ბორილის და მაშინვე მოკლა.

ბორილა მოსწყდა დედის მკერდს. უსიცოცხლო, მაგრამ
ჯერ ისევ მთრთოლვარე ბორილას სხეული მტარვალ თევზს
მახვილზე წამოგებული ჰქონდა. ხმალ-თევზა სწრაფად მო-
შორდა ვეშაპს და თვალის მოეფარა.

გავიდა ერთი წუთი და განვლილ ზარდამცემ ბრძოლაში
საშინლად მოქანული დედა, თითქო იმის ანგარიშ-მოუცემ-
ლად, თუ რა მოხდა ამ წუთში, დაწყნარდა, კუდით წყლის
ცემას თავი დაანება, მაღლა ამოცურდა, თაზარდაცემულმა
ირგვლივ მოავლო თვალი ზღვის და უცებ ისევ საშინელი,
თავგანწირული ლრიალი დაწყო.

ისევ გაითანტნენ ფრინველები, შორს, ზღვის კიდეზე
გასულმა ბებერმა თერმა დათემაც ისევ ფრთხილად ისწია თავი
და სმენად გადაიქცა.

— იმის შემდეგ ვეშაპი ვერასოდეს ველარ ნახევდა თა-
ვის პაწია შვილს, — სთქვა ბაეშმა.





ციფრების გაჩენის ისტორია



ნდოეთის შესახებ უფრო ზღაპრები გვიმენია, ვიდრე სინამდევილე. ჩვენ სიამოენებით დავყურებთ ამ ქვეყნის ხალხს: კაცობრიობის განათლება-განვითარებაში დიდი ღვაწლი მოუძვით ინდოელებს. ინდოელებმა ჩაუყარეს საუძველი ჩვენ ანგარიშსა და მათემათიკს. იმათ განავითარეს ის მეცნიერება, რომლის გარეშე ჩვენ მეცნიერებას არ შეეძლო მიეღწია დღევანდელ სიჩაღლემდის.

ინდოელები მაღალი ნიჭით დაჯილდოებული ხალხია. ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდის ისინი ითვლებოდნენ მოწინავე, განათლებულ ხალხად. ხეთასის წლის წინად ქრისტეს დაბადებამდის ინდოელებს ჰქონდათ ურთიერთობა ბერძნებსა, არაბებსა, ყველპტელებსა და ბაბილონელებთან. ინდოელები სხვა ხალხებთან მარტო ვაჭრობას კი არ ეწეოდნენ, ირამედ სწავლობდნენ ყველაფერს, რის სწავლაც კი შეიძლებოდა მათვან. იმავე დროს კი თითონაც ისწავლიდნენ მათ, რაც იკოდნენ. როგორც ძველი დროის ყველა განათლებულ ხალხს, ინდოელებსაც ცნობის-მოყვარეობას უღვიძებდა ვარსკვლავებით მოქედილი ცა: იგი ჰიბლავედა მათ. ბრწყინვალე ვარსკვლავთა მოძრაობა ბნელ ცაშე ყოველთვის იზიდავდა ინდოელების ყურადღებას. რინი აკვირდებოდნენ



ვარსკვლავებს, იკვლევლენ ენ მათი მოძრაობის კანონებს და გამოჩენილ ვარსკვლავთ - მრიცხველებად, ასტრონომებად ითვლებოდნენ.

ასტრონომიის, მყურნალობის და სხვა მეცნიერებათა გარდა, უმაღლეს წერტილამდის ოუცანებს ინდოელებმა სხვა-და-სხვა ხელოვნება, უმთავრესად კი ხუროთმოძღვრება და პოეზია. ამ ხალხის სახელი უკვდავ ჰყო მათებითიკამ იმ მეცნიერებამ, რომლის განვითარებაში ბევრი ღვაწლი მიუძღვით. მათი ნაშრომით დღეს სარგებლობს მთელი კაცობრიობა. ჩვენ ვიცით, რომ მათებითიკა მარტო ანგარიშს არ ასწევლის კას; უმათემატიკურ ხომ ვერ იარსებდებდა ჩვენი დროის „ტეხნიკა“; უმისოდ შეუძლებელი იქნებოდა გამოგონება და გაკეთება ყველა იმ მანქანებისა, რომლებიც ძალას ჰქონდენ და დიდ სამსახურს უწევენ მთელ კაცობრიობას. მეცნიერებანი, როგორიც არიან ასტრონომია, ქმითა და ფიზიკა — უმათემატიკურ ვერ მიაღწევდნენ განვითარების დღევანდელ მაღალ საფეხურს. ტყუილად კი არა სთელიან მათებატიკას სწორ მეცნიერებათა საფუძვლიად.

გამოკვლეულია, რომ მათებატიკის დასაწყისი უნდა ვეძიოთ ინდოეთში. იგი გამოგონილია სწორედ იმ ინდოელების წინაპართაგან, რომელთაც ახლა ჩვენ ჩამორჩენილებად ვთვლით. მაგრამ როგორ ნელა, თანდათანობით, როგორი დიდი, დაუდალიავი შრომით მიაღწიეს მათებატიკის საფუძვლის გამოძებნას! პირველი ნაბიჯი ხომ ყოველთვის ძნელია. სამაგიეროდ ახლა ჩვენ, ბავშვობიდან რომ კარგად გვაქვს შეთვისებული ანგარიშის საფუძველი, ძალიან გვეინტერესება, რამდენი შრომით და რა გზით ძველი დროის უკეციანესმა ხალხმა მიაღწია იმ ქეშმარიტებას, რომელიც ახლა მოიპოვება ანგარიშის ყოველ სახელმძღვანელოში და რაც ნათელია ყოველი მოწაფეისათვის.

აბა ვნახოთ, რა ვიცით ჩვენ მათებატიკის ისტორიისა ძველს ინდოეთში!

ერთ-ერთ უძველეს ინდოელთა წიგნში, რომელთაც ადამიანი
წერილია ხუთასი წლის წინ ქრისტეს დაბალებაშიდის, არის
მოთხოვობა დიღი. წინასწარმეტყველის ბუდას შესახებ. სხვათა
შორის ნათქვამია, რომ ბუდამ, ჯერ კიდევ სულ ახალგაზ-
და ჰაბუქმა, სოხოვა ერთ გამოჩენილი ინდოელს — დანდაპანს —
მიეთხოვებინა მისთვის ქალი. ქალის მამამ თანხმობის გამო-
ცხადებამდე მოსთხოვა ჰაბუქს დაემტკიცებინა მისთვის ცოდ-
ნა კითხვის ხელოვნებისა, სირბილისა, ხტუნეისა, ცურვისა,
ისრის სროლისა და თვლისა. ბუდაც წარუდგა მოხუცს. მო-
ხუცმა უთხრა:

— ჰაბუქო, დათვალე, — რამდენი პაწაწა ნაწილი მოთავს-
დება ერთ იოაიანაზე?

ჰაბუქმა იცოდა, რომ 7 პაწაწა ნაწილი შეადგენდა ერთ
ძალიან წერილ ცახეს; 7 წერილი ცახე შეადგენდა ერთ პა-
ტარია ცახეს; 7 პატარია ცახე წარმოადგენდა ერთ ქრისტ და-
ძრულ ცახეს; 7 ამნიორი ცახე — ცახეს კურდლლის ნაფეხური-
სა, 7 ამნიორი ცახე — ცახეს გარეული ლორის ნაკეალევისა, 7
ამნიორი ცახე — ცახეს კამეჩის ნაფეხურისა; 7 ამნიორი ცახე —
ერთ ყაყაჩოს მარცვალს; 7 ყაყაჩოს მარცვალი ერთ მდო-
ვის მარცვალს; 7 მდოვვის მარცვალი — ერთ ქერის მარცვალს
7 ქერის მარცვალი — სიგრძეს თოთის სახსრისას; 12 ამისთანა
სიგრძე — ერთს ციდას; 2 ციდა — ერთს წყრის; 4 წყრთა — ერთ
შეილდის ლიარის სიგრძეს; 100 ამისთანა სიგრძა — ერთ „კროცს“,
და ბოლოს 4 „კროცი“ — ერთ იოაიანას. რაკი ეს ყველაფერი
იცოდა ჰაბუქმა, დათვალა — რამდენი პაწაწა ნაწილი მოთავს-
დებოდა ერთ „იოაიანაში“, და გამოვიდა 108,470,495,616,000
ნაწილი.

როგორ იპოვეს ინდოელებმა ეს რიცხვი, რომელსაც
ყოველი ჩვენგანი უცემ ვერც კი წაიკითხავს; რა გზით გა-
მონაზეს იგი, — ეს ჩვენთვის აქამდის ამოკანალ რჩება. ყოველ-
შემთხვევაში ეს ამბავი მოწმობს იმ გარემოებას, რომ უკვე
ძველ დროში თვლის და ამოკანების ასსნას დიდად აფა-

სებღნენ და უსაქიროეს საგნად სთვლიდნენ განათლების მიზანის დროს. ინდოელებმა უკვე ამ დროს იცოდნენ დიდი რიცხვების ხმარება.

ჩვენამდი მოაღწია ზოგიერთმა უძველესმა წიგნმა. ეს წიგნები დაწერილია რამდენიმე საუკუნის წინ ქრისტეს დაბადებამდე ლაშაზი ლექსით, ლვის საღიღებლად, სხვა-დასხვა სარწმუნოებრივის წესებისა და ეროვნულ გმირთა ლვაწლის ხასწერად. როდესაც სწავლულნი არჩევდნენ და კითხულობდნენ ხელთნაწერებს, შეამჩნიეს, რომ ძველ ნაწერებში ინდოელები, რიცხვებს რომ ისსენიებდნენ, სიტყვით სწერდნენ რიცხვების აღსანიშნავად იჩავითარი ნიშნები არ ჰქონდათ. ყველა ამის შემდეგ უფრო საკვირველია,— ამ პირობებში როგორ გამოიცნობდნენ ინდოელები ძნელ მათემათიკურ ამოცანებს.

მართლაც რა ძნელია თუნდ ისეთი უბრალო საქმე, როგორიც გამრავლებაა, თუ რიცხვებს შესაფერი ნიშნებით კი არა, სიტყვით გამოვხატავთ. ხოლო თუ ვიხმართ ციფრებს და გამოვიყენებთ გამრავლების წესის ცოდნას, მაშინ ადვილი შეიქნება ყოველივე რიცხვის გამრავლება. ბევრი ფიჭრიც კი არ არის საჭირო: საქმარისია კარგიდ ცოდნა გამრავლების ცხრილისა და ყურადღება. სურათი უცემ იცვლება, თუ მოვანდომებთ უციფროდ იოლად წასვლას. მაშინ ყველაფერი ზეპირად გამოსათვლელია, გრძელი, დაუსრულებელი საწერია.

ყველა ამის გარდა, თვით რიცხვის დაწერა უციფროდ ადვილი საქმე არ არის. როგორ გამოიხატოს რიცხვი? როგორ დაიწეროს მოკლედ და მარტივად? ამ კითხვის არკვევადა სხვა-და-სხვა დროს ყოველი განათლებულ ძევლი ხალხი, თავისებურად ცდილობდა გადაეწყვიტა იგი. უგვიპტელები რიცხვების გადმოსაცემად ხატავდნენ სხვა-და-სხვა საგნებს: მაგალითად—ადამიანს, თევზს და სხ. თვითეული საგანი აღნიშნავდა ერთ რომელსამე რიცხვს. ხევე იქცევდა ძევლი



დროის ბევრი სხვა ხალხიც. ნახატი აღნიშნავდა კუთხეთა მაგრამ იმ დროს იყო სხვა საშუალებაც რიცხვის გამოსახა-ტად. მაგალითად, რომაელები სარგებლობდნენ ეტრუ-კელთა ასოებით. რომაელების ნიშნებში ჩვენ დრომდისაც მოაღწია. ესენი არიან I, V, X და სხვა. ეს ნიშნები რომაელე-ბში ეტრუსკელების ანბანიდან ამოიღეს და ცოტათი შესცვა-ლეს.

ეტრუსკული ასოები. რომაული ნიშნები.

5	Λ ონყ V	V
10	+ ონყ X	X
50	↑ ონყ ↓	Ψ; Ȑ; Ȑ; Ȑ
100	Θ	Θ Θ
1000	Ȑ	Ȑ Ȑ Ȑ

ნიშნები I, V, X საფუძველი იყვნენ, და მათი საშუალე-ბით რომაელებში გამოხატეს სხვა რიცხვებიც,—მაგალითად: VI (6), IX (9) და სხ. ძველი ნიშანი ეტრუსკელებისა, 50-ს გამომხატველი, რომაელებში ჩქარი წერით გადაკეთეს ასო L-დ. ნიშანი რიცხვის ასისა დროთა განმავლობაში იქცა „C“-დ, რაც იმავე დროს იყო პირველი ასო სიტყვა „Centum“-ისა (ასი). ნიშანი ათასისა გადაკეთდა „M“-დ, რაც იმავე დროს უდრიდა პირველ ასოს სიტყვის „Millia“ (ათასი).

ძველი დროის მეორე გამოჩენილმა ხალხმა, ბერძნებმა, სხვა გზა აირჩიეს რიცხვების აღსანიშნავად. მათი ასოები რიგზე გამოხატავდნენ რიცხვებს 1, 2, 3-ს... პირველი ცხრა ასო—α, β, γ... უდრიდა პირველ ცხრა რიცხვს; შემდეგი ცხრა



ასო ნიშნავდა ოთეულებს, და შემდეგი ცხრა—ასეულებს. ათავს სეულები იმავე ნიშნებით იწერებოდა, როგორითაც ერთეულები, მხოლოდ მათ ემატებოდა ნიშანი მძიმე, გვერდიდან ან ზევიდან.

რუსებმა წმ. ვლადიმერის, ქრისტიანობის მიღების, დროს (889 წ.) ბერძნებისაგან გაღმოიდეს წერა და ანგარიში. რიცხვები მათაც თავისი ასოებით გამოხატეს. ხოლო, რაღაც აც ბერძნული „ბ“ უდრიდა სლავიანურ (რუსულ) „ვ“-ს, ასო „ბ“ გამოტოვებულ იქნა. ქართველებმაც, ბერძნების წაბაძეით, რიცხვთა აღსანიშნავად ქართულ ასოებს მიმართეს. აქაც პირველი ცხრა ასო რიცხვ აღნიშნავდა პირველ ცხრა ერთეულს, მეორე ცხრა ასო ნიშნავდა პირველ ცხრა ოთეულს, და სხვა. ასე რომ პირველი ასო $a=1$, $b=2$, $v=3$, $d=4$, $g=5$, $z=6$, $t=7$, $u=8$, $m=9$, $n=10$, $j=20$, $l=30$, $z=40$, $n=50$, $x=60$, $t=70$, $b=80$, $y=90$, $r=100$, $s=200$, $c=300$, $u=400$, $q=500$, $j=600$, $d=700$, $g=800$, $z=900$, $k=1000$, $p=2000$, $d=3000$, $f=4000$, $z=5000$, $b=6000$, $t=7000$, $u=8000$, $z=9000$.

სხვა რიცხვების აღსანიშნავად ასე იქცეოდნენ: ჯერ სწერ-დნენ ასოს, უმაღლესი რიგის ნიშანს, შემდეგ უწერდნენ გვერდით ქვემო რიგის მაჩვენებელ ასოს და სხ. მაგალითად $11=ია$, $111=რია$, $1111=ჩრია$, $11111=ჭ ჩრია$, $26=კვ$, $77=ოზ$, $109=რთ$, $481=უპა$, $3052=ძნბ$, $6789=ხლათ....$ მავე ასოების საშუალებით აღინიშნებოდა წელიწადი. ხოლო წლის გასაგებად საკმარისი არ იყო აღნიშნული რიცხვის წაკითხვა. ქართული ქორონიკონი იმით იყო შესანიშნავი, რომ დრო განაწილდებოდა რამდენსამე მოქცევად. თითო მოქცევა შეიცავდა 532 წელს. ქრისტეს დაბადებამდე ქართველები ანგარიშობდნენ 10 მოქცევას და 284 წელს. მეთერთმეტე მოქცევა გათავდა 248 წ. ქრისტეს დაბადების შემდეგ. მეთორმეტე მოქცევა გათავდა 249 წ. და გათავდა 780 წ. შეცამდე-

ტე მოქცევა დაიწყო 781 წ. და გათვალი 1312 წ. შეუძლია ხელი მოქცევა დაიწყო 1313 წ. და გათვალი 1844 წ. მოქცევის წელი იწოდებოდა ქორონიკონიდ. თუ იცოდნენ, რომელ მოქცევის ეკუთვნოდა ქორონიკონი, მაშინ ადვილი ვასაგები იყო, რომელ წელს უდრიდა აღნიშნული ქორონიკონი.

თვლის და გამოანგარიშების დროს ასოებით აღნიშვნა რიცხვებისა ძალიან უხერხული იყო. ასოების ხმარება ართულებდა და აძნელებდა საქმეს. ამას გარდა რიცხვი უთვალავია; ბეჭრი ასოები კი არცერთ ენაში არ მოიპოვება. დაწერა დიდი რიცხვისა ძალიან საძნელო იყო. სატირო იყო რიცხვთა გამოხატვის საშუალებათა გამარტივება და გააღვილება.

ამ, სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტა წილად ხელა ინდოელებს. ინდოელების ძევლი წიგნების გაცნობით და შათი შესწავლის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ დაიწყეს თანდათანობით რიცხვების წერა, თელა და ანგარიში. 500 წლის წინ ქრისტეს დაბადებამდის, როგორც უკვე ვთქვეთ, ინდოელები მთელ სიტყვას ხმარობდნენ რიცხვის გამოსახატავედ. მათ ჯერ არ ჰქონდათ შემოლებული რაიმე ნიშნები რიცხვის გაღმოსაცემას: რიცხვს, როგორც გამოსთქვამდნენ, ისევე სწერდნენ, მთელი სიტყვით; მერე თანდათან ამოკლებდნენ ამ სიტყვებს. შემდეგ მთელი სიტყვების მაგიერ სიტყვის დასაცყისს სწერდნენ. ამ სიტყვა-რიცხვებს ინდოელები სწერდნენ სანსკრიტულად. ეს ენა ძალიან ჰვავს ძველ ექოობულ ენებს და შესწავლილია თანამედროვე სწავლულთა მიერ. ახლა ადვილად იკითხება სანსკრიტულად ნაწერი წიგნები. ინდოელთა წიგნების შესწავლის დროს უნიშნეს, რომ პირველი ასოები სანსკრიტულად დაწერილ სიტყვებისა, რომლებიც ნიშნავს ერთს, ორს, „სამს“ და სხ. ძალიან წავაგავს ჩვენს ახლანდელ ციფრებს. ეს მზგავსება უფრო აშენება, თუ შევადარებთ ძევლ ციფრებს. დროთა გან-

მავლობაში, ჩქარი წერის დროს, პირვენდელ ნიშნებს, კინ კვირველია, ცულილება დაეტყოთ მოხაზულობაში. ამას გარდა, იმათ სხვა-და-სხვა ხალხის ხელში სხვა-და-სხვა ელფერი მიეცა. ისიც კი მომხდარია, რომ ერთი ხალხი რომელსამე ნიშანს ხმარობდა ერთი რიცხვის გამოსათქმელი, მეორე-კი იმავე ნიშნით სულ სხვა რიცხვს გამოხატავდა.

თუმცა ცულილება ზემოხსენებული ნიშნებისა ბევრნია იყო, მაგრამ მზგავსება თავის წინაპრებთან — ინდოელთა ნიშნებთან — მაინც შეჩერათ. ამრიგად, როცა ძევლ ციფრებს შევადარებთ ინდოელ რიცხვის სახელების პირველ ასოებს, ირკვევა, რომ ეს ნიშნები ზემოაღნიშნული ასოებია. ეს ასოები, ანუ ციფრები, ინდოელებისაგან შემოღებული, თან-და-თან გაერცელდნენ ჟველა ხალხთა ზორის და ჩევნ დრომდისაც მოაღწიეს.

ციფრები ადამიანის ულიდესი გამოვლებაა. ეს მოხდა დიდი ხნით წინ ქრისტეს დაბადებიმდის, ხოლო საბოლოოდ დამკვიდრდა ამნირიად გამოხატვა 9 რიცხვისა ქრისტეს დაბადების დროისთვის. ის კი არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს მთელ ინდოეთში ხმარობდნენ ამ ნიშნებს. ინდოეთში, ამ ნიშნების ხმარების დროს, და შეიძლება უფრო აღრეც, განწლნენ და ინმარებოდნენ სხვა ნიშნებიც.

ზოგიერთ ადგილას ინდოეთში მიღებული იყო რიცხვთა აღნიშვნა სიმბოლიურად, საგულისხმო სურათებად. მაგალითად 4-ს ეძახდნენ „თკეანეს“, რადგანაც ოთხი თკეანე ეგულებოდათ. რიცხვს 12-ს მზეს ეძახდნენ, რადგანაც მზეს, მათი აზრით, 12 სადგომი ჰქონდა, — 12 თვე წლისა და სხ. სხვა ადგილას, მაგალითად ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, რიცხვებს აღნიშვნავდნენ ინდოელი ასოებით.

ხმარობდნენ აგრედვე ბევრ სხვა საშუალებას რიცხვების გამოხაზატავად, მაგრამ ჟველაზე მოხერხებული, ადვილი და უბრალო იყო ცხრა ნიშნის საშუალებით გამოხატვა ჟოველი რიცხვისა. ეს საშუალება რიცხვის აღნიშვნისა ვრცელდებოდა

და ვითარდებოდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში უწყვეტისადაც დროის ცველა განათლებულ ხალხთა შორის. ეს იყო ცველაზე მოხერხებული და ადვილი საშუალება რიცხვის აღსანიშნავად. ამიტომაც ჩვენ დრომდის მოაღწია და დღესაც ხმარებაშია, მაშინ როდესაც ცველა სხვა ნიშნები უარყოფილი, სრულიად შეიცავს ცველია.

სხვა-და-სხვა საშუალება რიცხვის აღსანიშნავად უკვე აღმოჩენილი იყო. საქირო იყო მხოლოდ იმის გადაწყვეტა, თუ როგორ უნდა დაეწერათ დიდი რიცხვები მცირე რიცხვანი ნიშნების საშუალებით. ამ ძნელი ამოცანის გამოცნობა ხედათ წილიად იმავე ინდოელთ.

ამ გამოცანის ახსნას შეუდგნენ რომაელებიც, ბერძნებიც და ეგვიპტელებიც. რომაელები თავიანთი ძირითადი ნიშნების დახმარებით ცდილობდნენ გამოხატათ ყოველი რიცხვი. ამას მიაღწიეს კიდევ. მაგრამ ძალიან რთული, გრძელი და ძნელი იყო მათი ოღნიშვნა. ძნელი იყო საწერად და ძნელი იყო წასაკითხად. რიცხვებით რაიმე მოქმედება ხომ სრულიად შეუძლებელი იყო. რიცხვების გამოხატვის დროს ისინი ხელმძღვანელობდნენ იმ მოსახრებით, რომ განმეორებით ოღნიშნული ნიშნები შეერთებული (მიმატებულნი) უნდა ყოფილიყვნენ. მაგ. III ნიშნავდა 3-ს, რადგანაც სამჯერ იყო დაწერილი „ერთი“. იმ შემთხვევაში, როდესაც უფროსი რიცხვის გამომხატველ ნიშნის ჭინ იყო დაწერილი უმცროსის გამომხატველი ნიშანი, საქირო იყო მისი გამოკლება უფროსისაგან; მაგალითად IX ნიშნავდა 9-ს, რადგანაც X (10)-გან საქირო იყო გამოკლება 1-სა; ხოლო თუ უმცროსი ნიშანი უფროსის შემდეგ იყო, ისინი ერთმანეთს ემატებოდნენ: მაგ. XIII ნიშნავდა, 13-ს, რადგანაც 10-ს 3 ემატებოდა. ამ სამ კანონს ემყარებოდა რომაული აღნიშვნა რიცხვებისა.

ბერძნებს თავისი ნიშნებით შეეძლოთ დიდი რიცხვების დაწერაც, მაგრამ მათი ოღნიშვნა რთული და უხერხული იყო; მოქმედება-ძნელი საწარმოები.

ამ სურათზე (ნახ. 2) გამოხატულია, როგორ მწერალის
და რიცხვი 212,635 ეფექტურიად, რომაულიად, ბერძნულიად,
ქართულად და სლავიანურიად. ჩვენ აშენად დავინახავთ, რა
რთული და გრძელია ეს ნაწერი.

C C eeeee eeeee eeeee	ეფექტური ჭარბი რომაული ნაწერი შენიდნული ნაწერი სლავიანული ნაწერი ქართული ნაწერი ერთობენ
CCXIIIMΦCXXXV	რომაული ნაწერი
ე ნ ე ვ ხ ა ს	შენიდნული ნაწერი
* ც ე შ ხ ა ს	სლავიანული ნაწერი
კ ა ც ა ლ ე	ქართული ნაწერი
၂ ၁ ၇ ၆ ၃ ၅	ერთობენ

ნახ. 2.

დავუბრუნდეთ კვლავ ინდოელებს და ვნახოთ, როგორ
გამოხატავდნენ იგინი დიდ რიცხვებს. როგორც უკვე ვიცით,
უძველეს დროში ინდოელები მთელ სიტყვას სწერდნენ
რიცხვის აღნიშვნის დროს. მაგრამ დროთა განმავლობაში
რიცხვების ამნაირში აღნიშვნამ დაუთმო ალაგი სხვანაირი ნი-
შნების ხმარებას.

ნელ-ნელა და ოდნავ შესამჩნევად მტკიცდება აზრი
აღვილის მნიშვნელობისა რიცხვთა გამოხატველ ნიშნების
წერის დროს; მტკიცდება აზრი, რომ ნიშნი-ციფრი იცვლის
თავის მნიშვნელობას, თავის რომელობას—იმის მიხედვით,
თუ რომელ აღვილას სდგას რიცხვის საერთო გამოხატვის
დროს. აზლა უკეთად კარგად ვიცით, რომ თუ 2 მოთავსებუ-
ლია მეორე აღვილას, მარჯვნიდან, იგი უკვე ერთეულს აღარ
ნიშნავს, არამედ ათეულს; მესამე აღვილას თუ არის—ასეულს

და სხ. ეს ხომ სულ უბრალოა და ადეილი გასაგებია: ქს: შემოწმება კოველმა მოწაფემაც კარგად იკის; მაგრამ ის, რატე პატია ჩევნ ძალიან უბრალოდ და აშკარად მიგვაჩინა, თავიდან ადგილი მისახვედრი არ იყო.

საუკუნოების განმავლობაში მაშინდელი მათემატიკოსები სთვლილნენ, უმატებდლნენ, ატავლებდლნენ, პკოფდნენ და სხ. რთულად და უხერხულად გამოხატულ რიცხვებს. ეს იმიტომ, რომ მათ არ უფიქრით ადგილის მნიშვნელობის შესახებ რიცხვის ნიშნების აღნიშვნის დროს. სწორედ ამ ადგილის მნიშვნელობას შიაჭყის კურადღება პირველად ინდოეთში; იქ განამტკიცეს ეს აზრი. აშნაირად ინდოელებია თველის უებარ საშუალების აღმომჩენები.

ერთ ძველ ინდოელ წიგნში ჩვენ ვხვდებით შემდეგ შედარებას: „როგორც ციფრი იცვლის თავის მნიშვნელობას იმის მიხედვით, თუ რომელი ადგილი უჭირავს, ისევე ადამიანი იცვლის თავის მნიშვნელობას იმის მიხედვით, თუ როგორი ადგილი უჭირავს. განა ეს არ გვაჩვენებს, რომ ინდოელებს უკვე იმ ძველ დროში ჰქონიათ წარმოდგენა ციფრისთვის ადგილის მნიშვნელობისა, მაგრამ ეს გარემოება მთლიოდ დაახლოვებით გვიჩვენებს დროს ამ დაუფასებელ „იდეის“ გაჩენისა. მთელი რიგი სხვა ცნობათა გვრხატავს, როგორ თანდათან ითვისებდნენ ინდოელები ამ იდეას, რა წესი და რიგი, რა მწყობრი თანხმობა, ჰარმონია შემოიტანა ამ იღმოჩენამ წინანდელ მათემათიკაში და როგორ გააადვილა ანგარიში, როგორ წასწია წინ კაცობრითაბა.

ახლა შესაძლო გახდა მცირე-რიცხოვანი ნიშნების საშუალებით, სახელდობრ—ცხრა ნიშანით, აღნიშვნა კოველი რიცხვისა. საჭირო არ იყო დახსომება მრავალის ნიშნისა, საჭირო არ იყო გრძლიად წერა. უდიდესი რიცხვები იწერებოდნენ ადგილად და მოხერხებულად. თვით მოქმედება და გამოანგარიშება გაცილებით ადგილდებოდა. მაგრამ რიცხვების წერის ამ წესის კოველგვარ სიადვილესთან ერთად იყო



ერთი უხერხულობა, ჩვენთვის ახლა თითქმის გაუგებით, ასევე მას რამ მეტად დიდი იმ დროის ხალხისათვის. როდესაც საჭირო იყო დაწერა დიდი რიცხვისა, მაგალითად — „ათას რვას თუ-

1937 - 1832

137 - 1032 ა. 132

ნახ. 3.

ნახ. 4.

და თორმეტი“-სა, აღვილად სწერდნენ (ნახ. 3), მაგრამ როდესაც უნდოდათ დაეწერათ „ათას ოცდა ათი“, საქმე რთულდებოდა: სწერდნენ, როგორც ნაწვენებია (ნახ. 4) რაც ძალიან ადეილად შეიძლებოდა წაკითხულიყო ას ოცდა თორმეტად.

ორი ნაბიჯი უკვე გადადგმული იყო ინდოელების მიერ მეცნიერების განვითარებაში: გამოგონება ცხრა ციფრისა და გამოგონება ამ ციფრების ადგილობრივი შემცველობისა. დარჩა უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმა — გამოგონება „ნოლისა“. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო ბევრი დრო და შრომა; და ბევრი თაობა გამოიცვალა, ვიდრე ეს ნაბიჯი გადადგმებოდა ინდოელების ქვეყანაში.



მე-6 №-ში მოთავსებულ შარავასა და რებუსის ასახვა.

1) ბია, 2) სანამ პეტრე მოკიდოედა, მავლეს ცავა
გააძვრეს.

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ სიყმაწვილო გურიაში გამოცემის
გამოცემის გამოცემის

"ნაკადული"-ზე

წელიწადი მეთონზეთი

გურიაში „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგე-
ბოდ მოწევეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შუალედი გამოდის თავმი თარჯოლ

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. **12** მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გა-
მოწევილ მხატვართა ნახატი.

ფასი გურიაშისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 ბან. იმათ-
თვის, ეინც გურიაში რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 ბან.
ნიხვარ წლით—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე:
მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 50 კაპ.
მოზრდილთათვის **12** წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ.
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსწოვთ ხელის მომწერლებს თუ გურიაში „ნაკადული“ არ
მისდით, ერთი თვის განმიყენობაში გვაცნობონ და აღრესის გამო-
ცელა ლროზე შეგვატყობინონ. აღრესის გამოსაცელებლად—40 კ-
შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწმობა მიღება

ტყილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშეილის სახ-
ლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинській
пр. № 8. შემოსახველები დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კოთხვის
გამავრცელების საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სახალის ქ.
ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ.
მთავრიშვილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიშვილთან. ბათომ-
ში—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ჭ. სამსონ ყაზაიშვილთან
უპრავაში. ოზურგეთში ჭ. ლამბესუთში—ლეო იმნაძესთან. თე-
ლავში—ვანო ვარტოშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვა-
რამძესთან. ბაქოში—მარიამ ნაკაშიძესთან. გორში—ქეთევან ჯა-
ვახიშვილთან და ნინო ლომიურთან. ჭიათურაში—ივ. გომელაურ-
თან. ხონში—მ. ი. ჭივჭანიძესთან. მიხაილოვოში—გორგი ნაკა-
შიძესთან. უცირილაში—ნინო ფერაძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი ტ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.